სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 4 (4563) ● 14 მარტი ● 2018 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

„დედის დღე და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია!“

ბალავნის საჯარო სკოლა – ტრადიცია და თანამედროვეობა

ამ უმაღლესი დანიშნულებით ზრდიან

(ნარკვევი)

ისტორიული ქარტეხილები – ომები, დევნა-ტყვევნა, გენოციდი, პარტახი მომდევნო ხანის მკვლევართათვისაა საინტერესო, მაგრამ მათთვის, ვის კისერზეც გადაიარა ამ საშინელებებმა, თავზარდამცემ რეალობად რჩება.

შიდა ქართლში (ომიანობისას) ერთ-ერთი ჩასვლისას იმან შემზარა, რომ სკოლიდან მომავალი ათიოდე წლის გოგონა უყოყმანოდ ჩაგვიჯდა „კოლხოზნიკში“ ავტომატიან მამაკაცებს სოფლის ერთ-ერთი მცხოვრების სახლის საჩვენებლად. ამ პატარა არსებისთვის შეიარაღებული ხალხი ის ერთადერთი ყოფითობად ქცეული რეალობა იყო, რითაც იზარდა, რაც ენახა...

თაობები აღიზარდა ბნელში, ომებში, დევნილობაში. საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სწორედ ისინი არიან ლტოლვილები, იმათ მოუწყეს გენოციდი, ვისი სახელიც ქვეყანას ჰქვია.

გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად, გველაძუურად გვირყვნიან მორალსა და ზნეობას. გავეშებულნი ებრძვიან ყოველივე ეროვნულს. იმას, რითაც ერობს ყოველი ერი, რაც მხოლოდ მისია და რითაც განსხვავდება სხვათაგან.

საამისოდ კი ყველაზე მოწყვლადი სამიზნე – ახალგაზრდები, ბავშვები არჩიეს, რადგან ერთხელ მრუდედ წასული ნერგის გასწორება ძალზე ძნელია, ხშირად კი – შეუძლებელიც.

თაობები კი, ძირითადად, ბაგა-ბაღებსა და სკოლებში იზრდება. ამიტომაცაა ასეთი განუკითხაობა, არევ-დარევა განათლების სისტემაში. უვიცები, ეროვნულ საფუძველს მოგლეჯილნი ადვილად სამართავნი არიან. ლამის ანათემას გადასცენ ილიასეული **მამული, ენა, სარწმუნოება.**

აგერ, კიდევ ერთი სიახლე: ნიშნებს აუქმებენ. თამასა უნდა გადალახო. როგორ? თუ 40-დან – 15 საკითხს უპასუხებ, გადაგილახავს და ეგაა. მერე? რა განსხვავებაა იმათ შორის, ვინც – 40-ს უპასუხა და ვინც – 15-ს? არავითარი! სადაა სტიმული, დაინტერესება?! არც არსად! აი, ასე უნდათ შენიღბონ საჯარო სკოლების მოსწავლეთა საყოველთაო უვიცობა, ასე დაუკარგონ სწავლის ხალისი იმ მცირეთაგანს, ვისაც, დინების საწინააღმდეგოდ, მაინც სურს სწავლა. რამდენს გადაალახვინებენ ამ სიმბოლურ თამასასაც ხელოვნურად და მერე უტიფრად განაცხადებენ, აგერ, კურსდამთავრებულთა თითქმის 100-მა პროცენტმა დაძლია ზღვარი, დახეთ, რა დიდებული სწავლა-განათლება გვაქვსო.

ასეთი შესავალი იმიტომ მივიჩნიე საჭიროდ, რომ უფრო ცხადად წარმოგვეჩინა იმ სკოლების, პედაგოგების ღვაწლი, ვინც, ასეთი ვითარების მიუხედავად, ერთგულად, თავდადებით მუშაკობს მცოდნე, სამშობლოს მოყვარული, ზნეობრივად და მორალურად ჯანსაღი თაობების აღსაზრდელად, სადაც სრულად აქვთ შეგნებული უდიდესი პასუხისმგებლობა ერისა და მამულის წინაშე, საკაც უწყიან, რომ მასწავლებელი უდიდესი თანამდებობაცაა ამქვეყნად და – სულიერი მდგომარეობაც, როცა სხვაგვარად არ ძალუძთ.

სწორედ ასეთია მცხეთის მუნიციპალიტეტის გალავნის საჯარო სკოლა. იგი გალავნის, ზაქაროს, წინათმძღვრიანთკარის, ბიწმენდის, შანკევნისა და, ნაწილობრივ, არაშენდის ყმაწვილებს აერთიანებს. ანუ, გალავნის გარდა, კიდევ 5 სოფელს მოედება, 5 სოფელში დაიფუძნებს და იბარტყებს ამ სკოლაში მიღებული ცოდნა და აღზრდა. აღზრდა ისე, როგორც აქ ესმით, რაც ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი – ქართველებად აღზრდა-დაღვინება. ამას კი დიდებულმა, ღვაწლმოსილმა პედაგოგებმა ჩაუყარეს საფუძველი XX საუკუნის პირველი მეოთხედიდან, რასაც ასე შემოქმედებითად, თანამედროვე მოთხოვნათა და ტრადიციათა გონივრულად შეცვლად მიმდინარეობდა.

ჯერებით განაგრძობს სკოლის მუშაკთა ამჟამინდელი თაობა.

მცირე წიაღსვლა

პირველი დაწყებითი სკოლა სოფელ გალავანში 1925 წელს დაარსდა ღვთისმსახურის კუთვნილი შენობის ორ ოთახში, სადაც I და II კლასის მოსწავლეები სწავლობდნენ. შენობა 1893 წელს რიყის ქვით იყო აგებული.

შენიშვნა: **მაშ, თავიდანვე დაჰყოლია მადლი გალავნის სკოლას – ღვთის, ერისა და მამულის სიყვარულით ზრდიდნენ პატარებს.**

1927 წლიდან ამ სკოლაში ასწავლიდნენ: **ქეთევან გარაყანიძე, ანა ფურცელაძე,** შემდეგ – **კინწურაშვილი** და **თაბუკაშვილი** (ამ ორი პიროვნების სახელი არ ვიცით). ეს ის მასწავლებლები არიან, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს თეზმის ხეობის მაშინდელი გოგო-ბიჭების აღზრდა-განათლებას, უკვე იმდენი მოსწავლე ჰყოლიათ, სწავლა ორ საწინააღმდეგოს ღაღადებს.

გალავნის სკოლის გამორჩეულ, განათლების სისტემის გამობრძმედილ მუშაკს ქალბატონ **ელისაბედ ნავდარაშვილს,** 2014 წლიდან რომ უდგას სათავეში ამ სასწავლო დაწესებულებას, ასეთივე გამორჩეული, პედაგოგებად მოწოდებული კოლექტივი ჰყავს. ერთი საქმისთვის გულანთებულ ადამიანებს შეახვედრებს ხოლმე განგება და ასევე ერთიანად ატარებს უდიდესი მიზნისკენ – სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობების აღზრდისკენ. ხომ ნათქვამია, ფერი – ფერსაო.

ქალბატონმა ელისაბედმა 1977 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი; შემდეგ – **ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის აკადემია** უმაღლესი განათლების პედაგოგიკის სპეციალობით. იყო მეთოდისტი, ქსოვრისის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მცხეთის მუნიციპალიტეტის რესურს ცენტრის უფროსი.

ბალავნის საჯარო სკოლა – ტრადიცია და თანამედროვეობა

ბალისიანი განწყობისათვის

გაზაფხული

რომელ მერანზე მოფრინდი,
რომელ მქროლავი რაშითა?
„ლილეოს“ ქუხილთა ხმებში
ნიაღვარების ტაშითა!

ვინა თქვა, სინაზით მოხვალ,
ენძელებით და იითა?
სადაც მწვანე ფრთას დაიქნევ,
ვაჟკაცურ ძგერას მიიტან!

სალამი, ასჯერ სალამი!
შენ, გაზაფხულის დგრიალო!
ყინულს დალეწავ, ხმატკბილად
წყარომ რომ დაიწკრიალოს...

მე გულს დავლეწავ, ნაკვესარ
ლექსმა რომ დაიძგრიალოს...
შორიდან გეხარხარები:
მოდი, სულ ერთად ვიაროთ!

გიორგი ლეონიძე

თბილისში, ვერაზე ტრადიციულ პატრიარქალურ ოჯახში აღზრდილი ბანოვანი ბავშვობიდანვე ეზიარა იმ სულიერ, ეროვნულ ფასეულობებს, რაც არც იყიდება და არც არაფერზე იცვლება. ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა მისი დირექტორობის ოთხ წელიწადში სკოლაში. მოსახლეობა ენდობა სკოლას, რისი უტყუარი დასტური ისიცაა, რომ 237 მოსწავლიდან რაოდენობამ – 265-მდე იმატა. სოფლებიდან ბავშვები თავის ტრანსპორტით მოჰყავთ და მიჰყავთ. ღირს კი ჩაღრმავება, რაოდენი შეღავათია ეს გაჭირვებული მშობლებისათვის? კონფორტი ყმაწვილებისთვის?

ქალბატონმა ელისაბედმა თავადაც ეს სკოლა დაამთავრა. მითხრა, ჩემი კაბინეტი, როცა ვსწავლობდი, მეათე კლასისა იყო და ერთ-ერთი მოწაფე მე ვიყავიო.

დირექტორი, სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად, მეწარმეობის საფუძვლებს ასწავლის. მოწაფეები პროდუქციასაც ქმნიან – ქსოვა, კერვა, ანუ ხელსაქმე, რაც ძალზე იშვიათია სკოლებში; ბიზნესგეგმებს ადგენენ. ეს კი იმის საწინდარია, რომ მომავალში ბიზნესის სწორად აგება-წარმართვა გაუადვილდებათ და, თუ გავითვალისწინებთ, როგორი გულისკვეთებით ზრდიან ყმაწვილებს გალავნის სკოლაში, ეგებ, პატიოსანი ბიზნესმენებიც გვეღირსოს. ნაყოფი-

გაგრძელება მე-2 გვ.→

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

დასაწყისი I გვერდიდან

ამ უმაღლესი დანიშნულებით ხრდიან

ერი მუშაობის დასტურია სიგელი სამეურნეო განათლების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, სხვა სიგელები... მოსწავლეებმა თავისი ლოგო შექმნეს – **„უსასრულო საფეხურები“.** ანუ, ადამიანს უსასრულოდ ძალუძს სრულყოფა თავადაც და იმ საქმისაც, რასაც დაადგა. აქვეა მათი დახატული საქართველოს რუკა – აფხაზეთი და სამაჩაბლო ქინძისთავებითაა მიმაგრებული. პრეზენტაციაზე, რუკა საქართველოს ამ ორი ძირძველი მხარის გარეშე გამოიტანეს და სათანადო ტექსტის, მუსიკის თანხლებით მიამაგრეს კუთვნილ ადგილებზე. ხომ არის ეს ძალზე ორიგინალური და აქტუალური პატრიოტული აღზრდა?!

დირექტორს ღირსეულად უდგას მხარში გამოცდილი მოადგილე – ქალბატონი **ლეილა კუპრაძე**. იგი თან მსოფლიო კულტურას ასწავლის, თან სკოლის სამი კლუბიდან – ეკოლოგიის, ისტორიისა

და თეზმისხეველებიდან – ამ ბოლოს ხელმძღვანელობს. ყმაწვილები ეცნობიან მშობლიური ხეობის ისტორიას, იკვლევენ საინტერესო მოვლენებსა და პიროვნებებს, წერენ რეფერატებს. მათთვის ხომ სამშობლო თავისი სოფლიდან, კუთხიდან იწყება და ის სიყვარული, რასაც მათ ქალბატონი ლეილა უნერგავთ, თანდათან სრულიად საქართველოს დაიტევს.

ქალბატონ ლეილას შარშან დებატებისა და განათლების ინსტიტუტმა კლუბის საუკეთესო ხელმძღვანელის სერთიფიკატი გადასცა. საქართველოს 500 პედაგოგიდან – 100 შეირჩა. 50-50 აღმოსავლეთ-დასავლეთიდან. მათგან – 2 ამ სკოლის ეკო-და თეზმის კლუბები იყო.

სერთიფიცირებული პედაგოგები: **ელენე ღვინაძე, დოდო მამნიაშვილი. ქრისტინე ტურაშვილი. ქეთევან ახალაძე, თამარ ლალიაშვილი, ლალი ხულელიძე, ნატალია გოდერძიშვილი, მერი ბიჩნიგაური, ირმა ჩიტაური, ციცინო რომელაშვილი;** პრაქტიკოსი მასწავლებლები: **ნინო კვანჭიანი, ხატია კობაიძე, ეკა სისაური, მარინე ჭიკაშვილი, მაია ჭინჭარაშვილი, მაია შაღაშვილი, ლიდა რეუსკი, მალხაზ აზალაძე, ლიანა გაბილაური, ლუდიკო ჩოხელი, მანანა მოძმანაშვილი, მაია ფეიქრიშვილი** ყოველდღიურად იღვწიან, რათა დიდებული ტრადიციების სკოლამ სახელოვნად განაგრძოს სვლა ყმაწვილების სწავლა-აღზრდის ბილიკებზე თითოეული აღსაზრდელის გულამდე და გონებამდე რომ მიჰყავს მასწავლებელი. უწყიან პედაგოგებმა, რომ თითოეული ბავშვი განუმეორებელია, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები აქვს და ინდივიდუალური მიდგომით თანდათან

ამზადებენ იმ დიდი გზისთვის, ცხოვრება რომ ჰქვია.

გამართულად, მიზანმიმართულად, შეთანხმებულად მუშაობს შვიდივე საგნობრივი კათედრა: დაწყებითი კლასებისას ხელმძღვანელობს **მაია ფეიქრიშვილი;** საზოგადოებრივი მეცნიერებებისას – **ირმა ჩიტაური,** ქართული ენისას – **ნინო კვანტალიანი;** მათამატიკისას – **დოდო მამნიაშვილი;** უცხო ენებისას – **თამარ ლალიაშვილი;** საბუნებისმეტყველო მეცნიერებისას – **ლალი ხულელიძე;** ესთეტიკისას – **ლიანა გაბიდაური.**

ხმალსა ნუ წუნობ სიმოკლით!

არცა წუნობენ: შენობა მოძველებულია. კარებიც კი დაარსების დროინდელია. მაგრამ პედკოლექტივი ფართსა და შესაძლებლობებს

გონივრულად და მაქსიმალურად იყენებს. სისუფთავე, გამართულ-მოწყობილი კლას-კაბინეტები; გამიზნული თვალსაჩინოება – ქართველი საზოგადო მოღვაწეების პორტრეტები – სხვადასხვა ლოზუნგი. თუნდაც: **„არა – ნარკოტიკს, არა – სიგარეტს!“** აშკარად ასრულებს თავის დანიშნულება-მოვალეობას.

დაწყებით კლასში ვნახე ბავშვების „ჩამორაკრაკებული“, ჩარჩოში კოხტად ჩასმული გაკვეთილზე ქცევის წესები: **„ყურადღებით უსმინე მასწავლებელს“; „იჯექი გამართულად“, „არ იხმაურო!“...**

წვრილმანია? ნურას უკაცრავად! სკოლაში წვრილმანი არ არის! სწორედ ე. წ. წვრილმანებში გაპარული შეცდომები, მათი მიფუჩეჩება გადაიზრდება ხოლმე ძალზე მსხვილმანად, რასაც მკვლელობებიც შეიძლება მოჰყვეს. რამდენჯერ ვიწვნიეთ ეს ამ ბოლო ხანს?!

ჩავუკვირდეთ: ყმაწვილებმა თავად ჩამოაყალიბეს გაკვეთილებზე ქცევის წესები. ცხადია, პედაგოგის ძალზე ტაქტიანი, სათუთი გზისმკვლევობით. ჰოდა, რას უფრო ვიცავთ, ვასრულებთ, ვუფრთხილდებით, სხვების ნოტაციურ შეგონებებს, მენტორულად თავსმოხვეულსა და დადგენილს, თუ საკუთარ

შეიქნება, რომ პედაგოგები პატივს სცემენ აღსაზრდელთა პიროვნებებს, მათს შინაგან მეობასა და რაობას. თუ საჭიროა, ტოლ-სწორად მსჯელობენ ამა თუ იმ საკითხზე და აუცილებლად ითვალისწინებენ უმცროს მეგობართა აზრს.

მოსწავლეთა, პედაგოგთა, მშობელთა დაახლოებას, გამჭვირვალობას ძალზე უწყობს ხელს სკოლის **რადიოკვანძი.** ყოველ კლასს თავისი დრო აქვს გამოყოფილი. ურთიერთს მოუთხრობენ კლასის ცხოვრებაზე, სკოლაზე, შემოქმედებას ავლენენ... მშობლებსაც აქვთ თავისი დღე. რამე გაწუხებთ, რაიმე წინადადება გაქვთ? გაგვიზიარეთ, ერთად ვიმსჯელებთ.

სკოლა ეძიებს და ჰპოვებს

კიდეც გარეშე კავშირებს. ასე დაიწყეს თანამშრომლობა **„მშვიდობის კორპუსთან“.** უცხოელი პედაგოგები ატარებდნენ ინგლისური ენის გაკვეთილებს. ახლა კი თვეში ერთხელ ჩადის გალავანში მოძრავი ბიბლიოთეკა. კვირის მანძილზე ყმაწვილები ეცნობიან სასურველ იგლისურ ლიტერატურას, უტარდებათ გაკვეთილები.

სკოლაში შეხიზნულია ბიწმენდის 8-წლიანი სკოლის 48 მოსწავლე, მაგრამ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი წამითაც არ შეყოვნებულა. გაისად შემოკედლებულთ ახალ სკოლას პირდებიან. მანამდე კი ხიზნობას ერთი სიკეთე მაინც სდევს: ბიწმენდელები ხომ გალავნის სკოლაში განაგრძობენ სწავლას. ჰოდა, ყმაწვილებიც, ვისაც ასაკი მოუწევთ, უკვე გათავისებულ გარემოში იქნებიან.

სკოლაში ინკლუზიური სწავლების საჭიროების მქონე 20 მოსწავლეა. ზოგი იქვე მდებარე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლიდანაა, ზოგი – 150 დევნილის ოჯახებიდან, ზოგიც – ადგილობრივია.

ყოველ მათგანთან ინდივიდუალური გეგმით მუშაობენ. მეთოდკაბინეტიც სათანადო-

გაგრძელება მე–3 გვ.

ამ უმაღლესი დანიშნულებითა ზრდიან

→ დასაწყისი II გვერდიდან

ქეთევან ობგაიძე, ვალერი ბედუკაძე, ლაშა ნავდარაშვილი, ნიკა კობაიძე, თამარ ნიაზაშვილი, ნათია ბედუკაძე, ნინი ჭინჭარაშვილი, ანა-მარია ამირხანაშვილი, ნია მარტოძე, ანანო ატაშვილი, მარიამ ყველაშვილი, ლიზი დორეული, მარიამ ბურდული, ირაკლი ამირხანაშვილი, ნათია ბიტარაშვილი, ქეთი ნავდარაშვილი, ნინო ძაგანიშვილი, ნიკა ნავდარაშვილი, ლუკა დორეული, საბა კახობერაშვილი, ნიაკო რაზმაძე საოცარი მხატვრულობით, ოსტატობით ასრულებდნენ კომპოზიციებს, ხმაშეწყობილად მღეროდნენ და ქართული ცეკვების ცეცხლს ანთებდნენ. რეპერტუარი ძალზე გემოვნებით, ბავშვების ასაკისა და შესაძლებლობების სრული გათვალისწინებით იყო შერჩეული. მუსიკის პედაგოგ ქალბატონ **ლიანა გაბიდაურის** შერჩეული მელოდიური მუსიკა და სიმღერები ამშვენებდა ზეიმს. ცეკვის მასწავლებლები: **მერაბ გულბათაშვილი** და **ოთარ ბიტარაშვილი** დიდებული შემსრულებლებიც ყოფილან.

რამდენი უნდა ემუშავათ ბავშვებთან, რომ პატარებს შეეგრძნოთ ლექსების, ტექსტების, სიმღერების რითმა, მდინარება, ტაქტი და უბრალოდ დაზეპირებულად

და აღჭურვილ-გამართული. პედაგოგები ცდილობენ ისე წარმართონ ასეთი ბავშვების განვითარება, ისე მიუდგნენ, რომ მაქსიმალურად დააახლოვონ შინაგანად თანატოლებს: რაც შეიძლება შეუმჩნეველი იყოს განსხვავება (ერთ ასეთ მაგალითზე ქვემოთ მოგითხრობთ).

გალავნელთა ძალისხმევის ძირთაძირი ხარისხია. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ჰყავდათ შარშან ერთი მედალოსანი. **ნათია გოდერძიშვილმა**, ახლა რომ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია, ვერცხლის მედლით დაამთავრა სკოლა, **ანა ედიშერაშვილმა** ქართულში ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში პირველი ადგილი და 1000-ლარიანი ვაუჩერი მოიპოვა. ანა მომავალი ფილოლოგია. 18 კურსდამთავრებულიდან, უმეტესობამ, სხვადასხვა ხარისხის დაფინანსება მოიპოვა და უმაღლეს სასწავლებლებში ეუფლება მეცნიერებათა საფუძვლებს.

სპორტი — ცხოვრების წესი

ფიზიკური კულტურის მასწავლებელი **მალხაზ აზალაძე** ამ სკოლაში 1984 წლიდანაა

და, მისი თქმით, სხვადასხვა რანგის შეჯიბრში გალავნელები საპრიზო ადგილების მიღმა არც ერთხელ არ დარჩენილან. ესაა, რომ სკოლას ღია სპორტული მოედნები კი აქვს, მაგრამ დარბაზია ძალზე გასარემონტებელი. ამ ზაფხულს პირდებიან მის შეკეთებას. ჰოდა, მერე ნახეთო, „დაიქადნა“ ბატონმა მალხაზმა, თუმცა, რაიონის ოლიმპიადაზე ფრენბურთელებმა მაინც მოიპოვეს პირველი ადგილი. მერე კი ამ სკოლელი სპორტსმენები და მათი მიღწევები ჩამოგვითვალა: ძიუდოისტი გოგონები – **ელენე** და **ნინო წიკლაურები**. ელენე საქართველოს სამგზის ჩემპიონია; ნინო – პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული და სწავლის ათოსანიცაა. იგი უკვე სმარტის ოლიმპიადის ფინალურ ეტაპზეა; **ბექა** და **ონისე ძაგანიშვილები** საქართველოს ჩემპიონები არიან ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში; **დავით გოდერძიშვილი** ქვეყნის ჩემპიონია ძიუდოში და საკლუბო ტურნირებში მრავალჯერ გამარჯვებული; **შოთა მეტრეველი** და **გუჯა ჭინჭარაშვილი** ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში საკლუბო ტურნირებში მრავალგზის გამარჯვებულნი არიან; **მიხეილ ბექაური** საქართველოს ჩემპიონია ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში, მოიგო პოლონეთის საერთაშორისო ტურნირი და – ბელორუსში გამართული ახალგაზრდული ოლიმპიადა.

მაშ, სკოლაში სპორტი ცხოვრების წესია. პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეები ჰარმონიულად – სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღნი აღზარდონ. გვჯერა, სპორტული დარბაზის მწყობრში ჩადგომის შემდეგ, აქაურთა წარმატებები უფრო მნიშვნელოვანი და მასობრივი გახდება.

დედას, დედას, დედას

გალავნის სკოლაში ჩემი ჩასვლის მიზეზი დედის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი იყო. მაგრამ შედეგი სკოლის მუშაობის წარმოჩენის მოკრძალებული დცა გახდა.

ზეიმი კი მართლაც დიდებული გაიმართა. მისი სულისჩამდგმელი ქალბატონი **თამარ ამირხანაშვილი** უკვე 45 წელია განათლების სისტემაში მოღვაწეობს, ამ სკოლაში სულ თვენახევარია, მაგრამ დირექტორის თქმით, მოსწავლეთა მხატვრულ-ესთეტიკურ აღზრდას უკვე დაეტყო გამოცდილი და საქმეზე შეყვარებული სპეციალისტის ხელი. მანამდე, თბილისის მე-15 საჯარო სკოლაში მუშაობისას, განათლების სამინისტროს მიერ გამართულ გამოფენაზე, 60 სკოლა რომ მონაწილეობდა, სწორედ – მე-15 გაიმარჯვა. წავიკითხე ქალბატონი თამარის კოლეგების, ხელოვნებათმცოდნეების, მეცნიერების, მწერლების აღფრთოვანებული ჩანაწერები შთაბეჭდილებების წიგნში.

თავად რომ არ მენახა, ვერ დავიჯერებდი, ციცქნა დარბაზში ასეთი გასაოცარი ღონისძიების გამართვა თუ იყო შესაძლებელი. დეკლამატორები, მომღერლები, მოცეკვავეები: **ქეთევან აბაშვილი, მათე მახარაშვილი, ანა ბედუკაძე, ლიკა მარტოძე, ანი ბექაური, დიმიტრი რაზმაძე, მარიამ ჩონიაძე, ბელა გვრიტიშვილი, ლაშა წიკლაური, ლაშა მოძმანაშვილი, მარიამ ნიაზაშვილი, ანანო ბექაური, ნინო სულიაური, საბა გულბათაშვილი, მარიამ ამირხანაშვილი, ია ბედუკაძე, ირმა ძაგანიშვილი, ანი გიგაური,**

ეს კოხტა ბიჭუნა ინკლუზიური სწავლების საჭიროების ერთ-ერთი რთული ბავშვი აღმოჩნდა. ქალბატონმა თამარმა, მისმა დიდმა პედაგოგიურმა ოსტატობამ, გულის სითბომ, ამოუწურავმა მოთმინებამ შეძლო ის, რამაც ასე გააოცა მშობლები. რაოდენ გაუღრმავებს ეს სკოლას მშობლების ნდობას.

***

ფილიპე მაკედონელის თქმით, არ არის იმსიმაღლე გალავანი, ზედ ოქროთი დატვირთული სახედარი ვერ გადახტესო. ესაა ყოველგვარი უზნეობის, სიბილწის თავი და თავი. მჯერა: ვერც სოფელ გალავნის შემორჩენილი ერეკლე II დროინდელ გალავანს გადაახტება თუნდაც ოქროთი დატვირთული სახედრების მთელი ქარავანი და ვერც გალავნის საჯარო სკოლაში შეაღწევს, რადგანაც აქ ყმაწვილების საქართველოს სასახელო შვილებად აღზრდის სადარაჯოზე სპეტაკი, მოწოდებითა და შინაგანი არსით პედაგოგები დგანან. ისინი ხომ ისე ზრდიან მოსწავლეებს, რომ ძვალ-რბილში ჰქონდეთ გამჯდარი – ჩვენ, ადამიანები, უფლის შემოქმედების გვირგვინი ვართ და ამ უმაღლესი დანიშნულების ღირსნი უნდა ვიყოთ.

კონსტანტინე გურგენიძე

თბილისის 94-ე საჯარო სკოლა – ახალი ინიციატივების მხარდამჭერ

„შევცვალოთ სიძულვილის ენა სიყვარულით!“

– **ცოდნა,** ხარისხიანი განათლება და ღია სასკოლო საზოგადოება – არის ჩვენი სკოლის მთავარი ნიშა და პრიორიტეტი – ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი თბილისის 94-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **ნინო გახარიამ**, რომელიც უკვე მეოთხე წელიწადია წარმატებით უძღვება დაკავებულ თანამდებობას. პერიფერიული მდებარეობის მიუხედავად, ეს სასწავლო დაწესებულება ერთ-ერთი სანიმუშოა. ქალბატონი ნინო გამოცდილი კადრია, წლების მანძილზე ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად მუშაობდა, შემდეგ კი – დირექტორის მოადგილედ. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომების დანერგვაზე ფოკუსირების დამსახურებაა ის, რომ 94-ე სკოლა გახდა უფრო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, საჯარო და დემოკრატიული. სასკოლო ცხოვრებაში მთლიანი კოლექტივი, პედაგოგები და მოსწავლეები, ერთობლივად არიან ჩართულნი და თითოეული საკითხი საერთო კონსენსუსისა და მსჯელობის შედეგად წყდება.

სწორედ, გუნდური მუშაობითა და თავდაუზოგავი შრომით მიაღწიეს წარმატებებს სასწავლო პროცესში, ოლიმპიადებსა და სხვადასხვა პროექტებში. ამიტომაც არის, რომ სკოლა დაჯილდოებულია სხვადასხვა სიგელით და ბავშვთა რაოდენობაც ყოველწლიურად მატულობს. აქაური კურსდამთავრებულები კი წარჩინებით აბარებენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. სკოლის ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, იგი ისედაც მოწესრიგებულია და მოსწავლეებისთვის კომფორტული გარემოა შექმნილი.

ნინო გახარია: სკოლაში პრიორიტეტად დავისახეთ მმართველობის დემოკრატიული სტილი. შესაბამისად, არც ერთი საკითხი არ წყდება ერთპიროვნულად. ვცდილობთ, თანასწორობის საფუძვლებზე აგებული თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას. ჩვენთვის უმთავრესია ერთსულოვნება და ასევე, მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში. სკოლაში 1900-მდე მოსწავლეა და მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვეყანაში არასრულწლოვნებში აგრესიული ფონია, ამ მხრივ პრობლემები არა გვაქვს. დისციპლინისა და წესრიგის დაცვაში მანდატურებიც გვეხმარებიან. სკოლაში შექმნილია მშვიდი, სასიამოვნო, ურთიერთპატივისცემაზე აგებული, უსაფრთხო, ინტერკულტურული გარემო. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინკლუზიური საჭიროებები. ამჟამად გვყავს 20 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე მოსწავლე, რომლებთანაც ინდივიდუალური მუშაობა მიმდინარეობს. სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, არის 60-მდე უფროსი მასწავლებელი... აქვე ვაანონსებ, რომ მომავალ სასწავლო წელს რამდენიმე წამყვანი მასწავლებელიც გვეყოლება. მთელი კოლექტივი ერთ გუნდად ვართ შეკრული. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო ჩემი მოადგილეების **გიორგი ლიჩელისა** და **ნარგიზ ქილიფთარის** თანადგომა ჩვენს საერთო საქმიანობაში. წახალისებულია მოსწავლეთა და პედაგოგთა მიღწევები, რაც მოტივატორია თითოეული მათგანისთვის, რათა მეტად იმუშაონ საკუთარ თავზე და წარმატებებს მიაღწიონ.

ძალიან საჭირო და შრომატევად საქმეს აკეთებენ საგნობრივი კათედრები. გაიცანით კათედრის ხელმძღვანელები: ქართული ენა და ლიტერატურისა – **თეა სუმბაძე**; მათემატიკისა – **ინგა სტვილია**; უცხო ენების კათედრა – **ჟანა ხურციძე;** საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლებისა – **ირმა გოგიტაშვილი;** ესთეტიკური ციკლისა – **ეთერ სააკაშვილი;** საზოგადოებრივი მეცნიერებების – **მარიამ სისაური**; დაწყებითი კლასების კათედრის ხელმძღვანელი – **ლელა გეთიაშვილი.**

სკოლის კათედრებისთვის მთავარია ურთიერთთანამშრომლობა, ერთმანეთთან უკუკავშირი, აზრთა გაცვლა, რჩევები და რეკომენდაციები. ერთობლივი ძალისხმევით იგეგმება სხვადასხვა პროექტები, საინტერესო გაკვეთილები, საგნობრივი კვირეულები. თითოეულ კათედრას წინასწარ გაწერილი სამუშაო გეგმა და ღონისძიებების ჩამონათვალი აქვს.

ხარისხიანი განათლების გარდა მოსწავლეებს სკოლა უნდა უვითარებდეს 21-ე საუკუნისთვის საჭირო უნარებსა და ზოგად კულტურას. ამისთვის კი სკოლაში ფუნქციონირებს ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა კლუბი, რომელთა მუშაობა ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია. მაგალითად, **„კლუბი წიგნიერი“,** რომლის ხელმძღვანელია **ნარგიზ ქილიფთარი,** დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის კუთხით, ძალიან საინტერესო ღონისძიებებს აწყობს ნორჩ მკითხველებისთვის, რომლებიც ჩართულები იყვნენ წიგნის საჯარო კითხვის დღის აქციაში. ასევე, ფუნქციონირებს **„პატარა მკითხველთა კლუბი“** მე-4 კლასელებისთვის, ხელმძღვანელი **მადონა ლაშხია**, ამ კლასის მიერ სკოლაში არაერთი აქტივობაა განხორციელებული. მნიშვნელოვნი ღონისძიება იყო ძალადობის წინააღმდეგ გამართული კვირეული **„ჩვენ ვირჩევთ სიკეთეს“, „გაგვიღიმე, მასწავლებელო!“** და სხვა.

კლუბი **„ლაზარე“,** რომლის ხელმძღვანელია **ზაირა გამყრელიძე**, მშობლიური ენის სიწმინდეს იცავს და ებრძვის ბარბარიზმებს. კლუბი ჩართულია დედაუნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში **„არა ბარბარიზმებს!“,** რომლის დასკვნითი ტური მარტის ბოლოს ჩატარდება. მათემატიკის კლუბი **„უსასრულობა“,** ხელმძღვანელი – **ინგა სტვილია**, ტრადიციულად მესამე წელია საინტერესო ოლიმპიადებს აწყობს მათემატიკაში, რაც ზრდის მოსწავლეთა ინტერესს ამ საგნისადმი. წელს სიახლე იქნება ის, რომ ამ ოლიმპიადაში სტუმრად მოასპარეზე გუნდის სტატუსით ჩართულია **წალკის** მუნიციპალიტეტის, **სოფელ არწევანის** საჯარო სკოლა. მსგავსი პროექტებით ხელი ეწყობა სხვადასხვა სკოლებს შორის თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას. აქტიურად მუშაობს **„სამოქალაქო განათლების“** კლუბი, ხელმძღვანელი **ლელა შველიძე**, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა და წიგნებითა და ტანსაცმლით ამარაგებს სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს.

საგულისხმოა, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ოლიმპიადებში: **„კინგსის“, „ევერესტის“, „რობინზონისა“** და ა.შ. განსაკუთრებული აქტიურობისა და დიდი რაოდენობით მოსწავლეთა მონაწილეობის გამო, სკოლას გადაეცა არაერთი სპეციალური სერთიფიკატი და მადლობის სიგელი ზემოთდასახელებული კონკურსების ორგანიზატორებისგან.

სამგორის რაიონის გამგეობის მიერ ორგანიზებულ დამატებით კონკურსში (რომელიც ამავე რაიონის სკოლებს შორის მიმდინარეობდა), 94-ე სკოლის მონაწილეებმა პირველი საპრიზო ადგილი მოიპოვეს. შთამბეჭდავი იყო, II[8] კლასის მოსწავლეების მიერ ჩატარებული (პედაგოგი **თ.მაღრაძე**) ახალი წლისა და საშობაო ღონისძიება **„შობის ღამის ზღაპარი“,** რომელსაც ესწრებოდნენ: პარლამენტის წევრი **შოთა ხაბარელი**, სამგორის რაიონის გამგებელი **დავით კერესელიძე** და გამგეობის სხვა წევრები.

სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას. სკოლა ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელებულ **ნესტლეს** გლობალურ პროგრამაში **„მხიარული გაკვეთილები კვებაზე“.** ჩვენი მოსწავლეები აქტიურად და წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში: ფრენბურთში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 94-ე სკოლა მთელი წლის განმავლობაში ახორციელებს ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ პროექტს **„შევცვალოთ სიძულვილის ენა სიყვარულით“.** სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად ამ პროექტის განხორციელებაში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება. ამ მიმართულებით სკოლა თანამშრომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რომელის ინიციატივით სკოლაში ტარდება საუბრების ციკლი სხვადასხვა თემაზე. მაგალითად **„კიბერდანაშაული** და **ტრეფიკინგი, ბულინგი** და მისი პრევენციის გზები“. იგეგმება მოსწავლეებისთვის გასვლითი ღონისძიება, 112-ის ოფისის მონახულება და მათი საქმიანობის სერვისის უკეთ გაცნობა. ასევე, შსს კინოლოგიის ცენტრის მონახულება.

საგულისხმოა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს შემოქმედებითი პროცესი. სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები: ქორეოგრაფიული, ხალხური საკრავების, ფორტეპიანოს, კიკბოქსინგის და კალათბურთის. მე-2 და მე-3 კლასებში კი, ელექტრონულად (ფაკულტატივის სახით) ისწავლება ჭადრაკი.

ჩვენი გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, მუდმივად ვზრუნავთ გავხდეთ ის მექანიზმი, რომელიც ახდენს მოსწავლის ტრანსფორმაციას ოჯახის წევრობიდან საზოგადოების წევრობამდე. ამ მიზნის მიღწევა კი, როგორც უკვე აღინიშნა, გუნდური მუშაობით არის შესაძლებელი. 94-ე სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი მოწოდებულია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს. არის ენთუზიაზმი, ცოდნა, გამოცდილება! ბუნებრივია, შესატყვისი შედეგები იქნება.

მზია გოგოძე

ნომრის სტუმარი: სახელოვანი 41-ე ბაგა-ბაღი

ბავშვები ჩემი ცხოვრებაა

ორმოცდათხუთმეტი წელი პატარებზე ზრუნვაში რომ გაატარო, ისინი მართლა ძალიან უნდა გიყვარდეს. ვერავინ დამალავს აღფრთოვანებას ქალბატონ **მაყვალა ჩუბინიძესთან** შეხვედრის შემდეგ. პროფესიით ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, პედაგოგიურ მოღვაწეობას სკოლაში შეუდგა, მეორე პროფესიით გეოლოგია და რამდენიმე წლით გერმანიაში გაგზავნეს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაშიც, სწორედ გერმანიაში ცხოვრების დროს დაიწყო მუშაობა. 83-ე ბაღში დიდხანს იღვაწა და თავისი საყვარელი საქმის ერთგული ქალბატონი, აგერ უკვე 20 წელია, თბილისის 41-ე ბაგა-ბაღს წარმატებით უდგას სათავეში. დღედაღამ შრომობდნენ და შედეგიც სახეზეა – მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, გამწვანებული ეზო სასრიალოებით, საქანელებით, ფანჩატურებით, სათამაშოებით, კალათბურთის ფარით და გაზრდილი კონტინგენტით – 8 ჯგუფში 398 აღსაზრდელი.

სასწავლო-აღმზრდელობითპროცესსა და ბავშვების ჯანსაღი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ზრუნავენ აღმზრდელები და აღმზრდელის თანაშემწეები: 3-4 წლიანთა ჯგუფში – **გოგუცა კაბოსნიძე, ელისო იაკობაშვილი, დარეჯან ჯაყელი, თამარ ქაჩლიშვილი;** 4-5 წლიანთა – **ნატალია გახარია, ანგელინა გაბრიჩიძე, მარინე კვეტენაძე, ხათუნა კიწმარიშვილი, მაია ლაბაძე;** 5-6 წლიანთა ჯგუფი – **მედეა ღვინიაშვილი, თამარ ზაკალაშვილი, ნონა უზარაშვილი, მარინე ლოლაძე;** 2-3 წლიანთა ჯგუფი – **თინათინ შეყილაძე, იზაბელა ნადირაძე**; აღმზრდელები: **ელენა ბრეგაძე, ნატო ბისეიშვილი, თამარ ლაფერაშვილი, დიანა მაისურაძე, ირმა რუხაძე;** აღმზრდელის თანაშემწეები: **დალი ბარვენაშვილი, მზია კალანდაძე, ნონა მეტრეველი.**

ბაგა-ბაღში პოზიტიური გარემოს შესაქმნელად მთელი კოლექტივი ერთ მუშტად შეკრული ასრულებს თავის საქმეს. **დალი მელქაძე,** საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი: „ბაღების სააღმზრდელო პროგრამის შესაბამისად, ყველა ასაკობრივ ჯგუფში ღია აქტივობები და შემაჯამებელი მუშაობა ტარდება. მაგალითად, გავაკეთეთ ბაზარი, სადაც ბავშვებმა შესაბამისი ლექსებითა და ფორმებით წარმოადგინეს სხვადასხვა ხილი: ვაშლი, ფორთოხალი, მსხალი, ქლიავი, ყურძენი.“

თუ პატარას ადაპტაციის პერიოდი გაუჭირდა, ან ბავშვებთან კომუნიკაციის პრობლემა აქვს, მის დასახმარებლად ფსიქოლოგები ერთვებიან. **ლელა გურაბანიძე** წლების განმავლობაში აღმზრდელად მუშაობდა, სასერთიფიკატო გამოცდების ჩაბარების შემდეგ კი, როგორც ფსიქოლოგს, რთული ქცევის ნორჩებთან აქვს მეტი კონტაქტი. ჯგუფურ გარემოში ბავშვებზე ყოველდღიურ დაკვირვებას **თინათინ გელაშვილი** ახდენს. დიდი კონტინგენტის გამო, ჯგუფები გაყოფილი აქვთ და ასეთ ბავშვებთან დიდაქტიკურ, მოძრავ თამაშებს ატარებენ. ლოგოპედმა **ირმა რუხაძემ** ბევრ აღსაზრდელს დაუხვეწა მეტყველების კულტურა. ყოველდღიურად ახდენს პატარებზე დაკვირვებას ჯანდაცვისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **თეა ნადირაძე.**

დიდი ყურადღება ექცევა ინკლუზიური გარემოს შექმნას და სსმ ბავშვებისთვის აქვთ სპეციალური სივრცე, სადაც თუ ბავშვი საჭიროებს სიმშვიდეს, ან

გაღიზიანებულია სპეც.პედაგოგებს **მარიკა ლუკავასა** და **დიანა სიდიანს**, აღმზრდელის მომართვის საფუძველზე გამოჰყავთ. მაგრამ მათი მუშაობის პრინციპიდან გამომდინარე, ძირითადად ჯგუფებში ახდენენ კონცენტრაციას.

მარიკა მაღლაკელიძე, დირექტორის მოადგილე: „კოლექტივში მეგობრული დამოკიდებულება და ჰარმონიული გარემოა, ქალბატონი მაყვალა ყველა გადაწყვეტილებას თანამშრომლებთან ათანხმებს, დიდია მშობელთა ჩართულობაც“. თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტები არიან საქმისმწარმოებელი **ლიანა შარაშენიძე** და თანაშემწე **დარეჯან ხიჯაკაძე.**

დილის წრის შემდეგ, 5-6 წლიანთა მზაობის ჯგუფებში ამინდის კალენდარს ეცნობიან და თემის მიხედვით არჩევენ აქტივობას, არკვევენ, რა იციან. მაგალითად,

აქტივობა ცხოველების შესახებ ასეთია – ქაღალდისგან სხვადასხვა ცხოველი გამოჭრეს, დააწებეს და გააკეთეს ფერმა. შემდეგ, დღის მანძილზე, ბავშვის სურვილის მიხედვით, სამაგიდო აქტივობებზე გადადიან, ხელოვნების, დრამატულ, კონსტრუქციულ, წიგნიერების ცენტრებში.

თამარ ზაკალაშვილი აღმზრდელი: „დღეს გვქონდა ღია აქტივობა **„ემოციები“,** რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, ვისწავლეთ დადებითი და უარყოფითი ემოციები, როგორ ვაკონტროლოთ ისინი, როცა გაბრაზებულები ვართ. ეს ხდება თამაშ-თამაშით, ძალიან სახალისო გამოვიდა“.

30 წელზე მეტია პატარების სამსახურშია **ელისო იაკობაშვილი**, 3-4 წლიანთა აღმზრდელი: „დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სკოლამდელთა პროგრამის შემდგენლებს, ვინც ბავშვზე მორგებული ეს სახალისო პროექტი შექმნა. მუშავდება მოტორიკა, როგორც მსხვილი (თამაშების სახით), ისე

წვრილი – გამოჭრა, დაწებება, ხატვა, ასაკის შესაბამისად დგება პროექტები“.

3 წელია შენობას დარბაზი მიაშენეს, სადაც ყოველთვის ღიმილი, სიხარული, ცეკვა და სიმღერაა. ეს კი მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების – **ეთერ შამანაურისა** და **ნათია ჯინჭარაძის** დამსახურებაა.

ბაგა-ბაღში სამ ადგილზე, თვალსაჩინოდ არის გამოკრული მენიუ. მშობლები, საჭიროების შემთხვევაში, სამზარეულოსაც აკვირდებიან და მშვიდად არიან,

რომ ჯანსაღი, გაუყინავი, ახალი პროდუქტით მზარეული **მედიკო ასპანიძე** და მზარეულის დამხმარეები – **მთვარისა აფციაური და ნანა სეთური** – მათ შვილებს უგემრიელესი კერძებით უმასპინძლდებიან, რომელსაც ამარაგებს სამზარეულო სამნეო ნაწილის კოორდინატორი **ნუნუ ბუქური.**

სადაც ბავშვია, იქ ყველაფერი წესრიგში უნდა იყოს, განსაკუთრებული ყურადღება სისუფთავეს ექცევა, დაწკრიალებული ჯგუფები, დერეფნები, სველი წერტილები – ამ ყველაფერზე კი ტექნიკური პერსონალი ზრუნავს: **ფიქრია წილოსანი, ხათუნა ლომთათიძე, ნანა ბაღაშვილი, ნანა თურმანიძე, ირინე სიხარულიძე.**

ღირსების ორდენოსანი, თბილისზე მზრუნველის ტიტულისა და უამრავი ჯილდოს მფლობელი ქალბატონი **მაყვალა ჩუბინიძე** ყველა თაობის საიმედო დასაყრდენი და ბურჯია. „ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ჩემი არაჩვეულებრივი, ერთგული კოლექტივია. მათი შრომის შედეგიც საუკეთესოა, მშობელი ხედავს, რომ ნამდვილი, დედობრივი გრძნობით უვლიან მის შვილს“.

დირექტორი მიღწეულით არასდროს კმაყოფილდება. სამომავლოდ, გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვთ – შენობაში რაღაც შესაცვლელია, რაღაც შესაკეთებელი, ახალი ინვენტარიც შესაძენია. სააგენტოს ახალი ხელმძღვანელობის კი დიდი იმედი აქვს. „საუკეთესო საძირკველი ჩაიყარა. ამდენი საბავშვო ბაღი არასდროს აშენებულა და ასეთი კვება არასდროს ყოფილა. რა უნდა დასჭირდეს ბაღს, რომ მყისიერი რეაგირება არ მოყვეს. უღრმესი მადლობა, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს და მის უფროსს **კახა გვანცელაძეს**. თითოეული ჩვენგანი გრძნობს, რომ ჩვენ, დირექტორები ვართ ხელმძღვანელები და ვიცით, რომ ბატონი კახა ჩვენს თავს არავის დააჩაგვრინებს. გულთან მიაქვს ყველას თხოვნა თუ სურვილი, აკეთებს ისე, როგორც ბავშვისთვის არის უკეთესი“.

დასაწყისშივე აღვნიშნე ჩემი აღფრთოვანება ქალბატონი მაყვალას მიმართ და მკითხველი მიხვდება, რატომ – „ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ბავშვებთან გავატარე, შვებულებით არასდროს მისარგებლია, არ შემიძლია ბავშვი ერთი და იგივე გარემოში ვაცხოვრო, ყოველ წელს ვცდილობ, რაღაც ახალი დავახვედრო. უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**, რომელმაც თქვა, რომ ხანდაზმულებმა იმუშაონ, თუკი მათ მუშაობა შეუძლიათო და ამ სიტყვებით მან მე გამაახალგაზრდავა“.

კიდევ ბევრი კარგი რამ დაგვრჩა უთქმელი. იმედი გვაქვს, **მაყვალა ჩუბინიძე** მრავალჯერ გაგვაოცებს სიახლეებით და წარმატებით განახორციელებს დაგეგმილ ინიციატივებს.

ნათია გურგენიძე

გაზაფხულის ზეიმი 131-ე ბაგა-ბაღში

დედის დღე ორიგინალურად აღნიშნეს



გაზაფხულის დადგომა და დედის დღე განსაკუთრებით საზეიმოდ აღინიშნა თბილისის 131-ე ბაგა-ბაღში, სადაც პატარების ჟრიამული, სიმღერისა და მუსიკის ჰანგები ამშვენებდა არემარეს. პატარებმა თავიანთი მხატვრული შემოქმედებით გააოცეს არამარტო მშობლები, არამედ მოწვეული სტუმრებიც. გამოსაშვები ჯგუფის ცუგრუმელებმა ოსტატურად მოირგეს სხვადასხვა პროფესიები და როლებს მშვენივრად გაართვეს თავი. საოცრად ლამაზი სანახავი იყვნენ პატარები ჟურნალისტის და სპორტსმენის ამპლუაში, ექიმის ხალათში, ჯარისკაცის ფორმაში თუ პოლიციელის მუნდირში. ორიგინალური ინსცენირებით მოხიბლული უფროსები კი, ემოციებს ვერ მალავდნენ და პატარებს ოვაციებით ამხნევებდნენ. ბავშვებმა ბევრი იმხიარულეს, წაიკითხეს ლექსები და შეასრულეს ქართული სიმღერები. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა მუსიკის პედაგოგი **მედეა ქინქლაძე**. აღსაზრდელები კარგად

იყვნენ მომზადებულნი. ნათლად ჩანდა აღმზრდელის **ნინო ბაჯელიძის** და მისი თანაშემწის **თამრიკო გველესიანის** დიდი შრომის შედეგი. ზეიმზე ბავშვებმა დედებს **„დედის დღე“** მიულოცეს და მათ თავიანთი ხელით შექმნილი დეკორატიული ყვავილები აჩუქეს.

ბავშვებს წარმატებული გამოსვლა მიულოცა ბაგა-ბაღის დირექტორმა **აქსანა ჯვარშეიშვილმა** და მათ საჩუქრად გადასცა მაკდონალდსის — დაბადების დღის აღსანიშნავი უფასო ვაუჩერი. პატარებისთვის ასევე, მოეწყობა გასვლითი ღონისძიება-ექსკურსია მაკდონალდსში, სადაც იგეგმება აღსაზრდელების ნახატების გამოფენა.

აქსანა ჯვარშეიშვილი, 131-ე ბაგა-ბაღის დირექტორი: დღევანდელი ღონისძიება იყო გამოსაშვები ჯგუფის ღია მეცადინეობა, სადაც პატარებმა აითვისეს სხვადასხვა პროფესიები და პედაგოგების თავდაუზოგავი შრომის შედეგად კარგად გაართვეს თავი. ღონისძიება ძალინ ლამაზი იყო და ეს დღე ბავშვებს მუდამ ემახსოვრებათ. შემოქმედებითი აქტივობები და საგაზაფხულო ზეიმები ეტაპობრივად, სხვა ჯგუფებშიც გაიმართება. ამჟამად, ბაღში სულ 246 აღსაზრდელია, ხოლო 70-ზე მეტი ბავშვი გამოსაშვებ ჯგუფშია, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან **„სასკოლო მზაობის პროგრამას“.**

ბაგა- ბაღს უკვე 10 წელიწადია წარმატებით ხელმძღვანელობს **აქსანა ჯვარშეიშვილი,** რომელიც თავად ორი შვილის დედაა და აღსაზრდელებიც საკუთარი შვილებივით უყვარს.

ბაგა-ბაღი დაკომპლექტებულია პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური კადრებით. თანამშრომლებს ერთმანეთთან

მეგობრულიდათბილიდამოკიდებულება აქვთ და რაც მთავარია, კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. რაც შეეხება ბაღის ინფრასტრუქტურას, იგი მთლიანად მოწეს-

რიგებულია, გარემონტებულია სველი წერტილები, სამზარეულო და დარბაზი... საბავშვო ოთახები და დერეფნები მორთულ-მოკაზმულია პატარების შემოქმედებით, ნახატებით, აპლიკაციებით და გამოძერწილი ზღაპრის გმირებით. ბაღის მოპირკეთებულია და დამშვენებულია ატრაქციონებითა და სხვადასხვა მწვანე ნარგავებით, აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, სათამაშოებითა და ლიტერატურით.

ბაღში ძირითადი ყურადღება ეთმობა ცუგრუმელების შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მთელი კოლექტივი მოწოდებულია იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი საინტერესო ღონისძიებები ჩაატარონ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სპეციალური პედაგოგის, ცნობილი ჟურნალისტის **მარინე გურასპაშვილის** ღვაწლი, რომელიც დიდი რუდუნებითა და საოცარი მეთოდებით მუშაობს პატარებთან.

ბაღის დირექტორი კმაყოფილია მისი მოადგილის **ნინო ქევხიშვილის** და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის **გულნარა სალუქვაძის,** ფსიქოლოგის **ქეთევან მაჭავარიანის,** ლოგოპედის **მაია მიქელაძის** საქმიანობით. ასევე, დასაფასებელია სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **მაია თევდორაძის**, საქმისმწარმოებლების **ნათია მაჭავარიანის** და **მაია მჭედლიშვილის** საქმიანობა.

ბაღში დიდი ყურადღება ექცევა ჰიგიენას. პატარების სისუფთავესა და ჯანმრთელობაზე ზრუნავს ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ირმა მაისურაძე.** ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კვებას და ბაღი მარაგდება ხარისხიანი პროდუქტებით. პატარებს გემრიელ კერძებს უმზადებს მზარეული **ნატო მახარაშვილი** და მისი თანაშემწე **ლელა შალამბერიძე**.

კარგად გვესმის თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღმზრდელის დამოკიდებულება პატარებთან, ისინი ხომ მაგალითი უნდა იყვნენ ბავშვებისთვის. ამ მხრივ, 131-ე ბაგა-ბაღში შესანიშნავნი მდგომარეობაა, რადგან აღსაზრდელებს განსაკუთრებით დედასავით ეპყრობიან აღმზრდელები**: ბელა ხადური, ნანა თორდია, ნინო ბაჯელიძე,მარინე არჩვაძე, ნაირა ხუციშვილი, მაია ტონია და თამილა სიგუა.**

მათ მხარში უდგანან თანაშემწეები: **მარინე მაყაშვილი, თამარ სულაძე, ნათია სირაძე, ლია ჯაფარიძე, თამარ გველესიანი, ნინო მირგატია, ხათუნა მახარაშვილი** და **ნინო ქარსელაძე**.

ბაგა-ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექნიკურ პერსონალსაც. ესენია: **სილვანა მაისაია, ელენე გრიგოლია, ნინო ქარსელაძე, სირანუმ კაპანიანი, ეკა ორაგველიძე, ანა ნასყიდაშვილი, თამარ ელიაშვილი** და **დავით ჭინჭარაძე**.

საგულისხმოა, რომ უბნის მაცხოვრებლები და მშობლები კმაყოფილი არიან 131-ე ბაგა-ბაღის მუშაობით. ისინი საჯაროდ უხდიან მადლობას ბაღის თითოეულ თანამშრომელს.

მზია გოგოძე

ძველი სკოლის ახალი სიცოცხლე

თქვენ ეს დაიმსახურეთ!

შარშან ოთხი ოქროს მედალოსანი ჰყავდათ: **ნინო მაისურაძე, ლიკა ჭალიძე, ლევან ზახაროვი და ანა ოგანესიანი.** წლეულს ოქროს მედლის 5 კანდიდატია: **მარიამ ნაცვლიშვილი, ედგარ ბრუტიანი, ანა ბარაბაძე, ნიკოლოზ შავლაყაძე** და **მანანა ალოიანი.**

წინა სასწავლო წელს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტური წარმატებით გაიარეს (ქართული, როგორც მეორე ენა): **ელა ვართანიანმა, მარია ალვანჯიანმა, ნინა თეიმურაზიანმა** (პედაგოგი – **ნინო ორთავიძე);** წლეულს მესამე ტურში გადავიდნენ **ედგარ ბრუტიანი** (ქართული ენა და ლიტერატურა, **ნანული გელაშვილი) და არმინე ახოიანი** (ქართული, როგორც მეორე ენა, **ნინო ორთავიძე**).

დამკვიდრებულია ცხოვრების ჯანსაღი წესი, რამაც მასობრივად მოიცვა მოსწავლეები. კიკბოქსინგსა და ძიუდოში გამოირჩევიან მრავალ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულები **დავით ფაროიანი** და **საბა ადუაშვილი**; მოიპოვეს დაფინანსება განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „თავისუფალი გაკვეთილები“. სახელდობრ, ფრენბურთსა და ბადბინტონში. პროექტი წარმატებით განხორციელდა და მოსწავლეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. შექმნილია სპორტული კლუბი **„ნიკე“ ლოგოთი, დროშითა და ჰიმნით.** თვალსაჩინოდ და გემოვნებით გამოფენილი სპორტული წარმატებების ამსახველი სტენდი გახსნა ტყვიის სროლაში ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა, ევროპის სამგზის გამარჯვებულმა ქალბატონმა **ნინო სალუქვაძემ.**

მოსწავლეთა თვითმმართველობა ახორციელებს საქველმოქმედო პროექტს – „სიკეთე გადამდებია“.

ჩამოყალიბებულია ლიტერატურული სალონი (ხელმძღვანელი – **მანანა ნიკოლაშვილი),** რომლის ინიციატივითაც გაიმართა დისკუსია თემაზე – პიროვნებისა და საზოგადოებრიობის ურთიერთდამოკიდებულება **ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზედ“ მიხედვით;** გაიმართა ილიას დაბადების 180 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება – **„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“** (პედაგოგი – **მარინე ქარელიძე);** დაიდგა **ოვანეს თუმანიანის** „გიქორი“ **(დალი ფეიქრიშვილი).** სპექტაკლის ჩანაწერი გაიგზავნა კონკურსზე – **„ჩემი პირველი ქართული როლი“.**

II-XI კლასების სომხური სექტორის მოსწავლეებმა, პედაგოგ **გაიანე მხითარიანის** ხელმძღვანელობით, სომხური ენის დღეს მიუძღვნეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია თემაზე: **„ენა დედაა ერისა“.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში სომხეთის ელჩი ბატონი **რუბენ სადოიანი,** თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი **გიორგი ტყემალაძე,** გაზეთ „ვრასტანის“ რედაქტორი ბატონი **ვან ბაიბურთი,** მისი მოადგილე **იური პოღოსიანი,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი ქალბატონი **კარინე მანუკიანი,** ისან-სამგორის რესურსცენტრის უფროსი ქალბატონი **მეგი როსტიაშვილი,** თბილისის საკრებულოს დეპუტატი ბატონი **ილია ჯიშკარიანი,** ისნის რაიონის გამგებელი ბატონი **კახაბერ ლაბუჩიძე,** ამავე რაიონის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი ქალბატონი **ელენე დადიანი,** ავლაბარ-მეტრომშენის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ბატონი **გიორგი ჭიჭინაძე,** პ. ადამიანის სახელობის თბილისის სომხური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბატონი **არმენ ბიანდურიანი,** პოეტი-მთარგმნელი ბატონი **გივი შახნაზარი,** საქართველოში სომხური კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის „ჰაიარტუნის“ დირექტორი ბატონი **ლევონ ჩიდილიანი.**

XII კლასის მოსწავლე **ედგარ ბრუტიანი** მონაწილეობს ესეების კონკურსში – **„ბულინგი სკოლაში – ნორმად ქცეული ძალადობა“ (ნანა შენგელიძე)** და **„ჩემი ევროპა“ (ნანა ჩხაიძე).** ნაშრომები გაგზავნილია შემდეგ ეტაპზე.

VI კლასის მოსწავლეები: **გიორგი ამირხანაშვილი, დავით თოლომაშვილი და ელა კოსტანიანი** მონაწილეობენ ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებულ **„ფულის ხატვის“** კონკურსში **(ლიანა ცანავა).** ნაშრომები გაგზავნილია რესურსცენტრში.

მზადდება პროექტი **„მე მოგიყვებით აფხაზეთზე“ (მანანა ნიკოლაშვილი);** სადისკუსიო კლუბი მუშაობს პროექტზე **„ბულინგი“.**

ნათელ, დიდი გემოვნებითა და მიზანმიმართულად გაფორმებულ ფოიეში მრავალი ჯილდო, სიგელი, სერთიფიკატია გამოკრული ლოზუნგით: **„ეს ჩვენ დავიმსახურეთ!“**.

დიახ, სწორედ – **ჩვენ.** მთელმა 103-ე საჯარო სკოლამ, რომლის ყოველი რგოლის ყოველდღიური გეგმაზომიერი, შემოქმედებითი, გუნდური მუშაობა ზემოთ თეზისურად ჩამოთვლილი და კიდევ მრავალი წარმატების სულისჩამდგმელია.

ძველი სკოლის ახალი სიცოცხლე – ძველი დაანგრიეს და დიდებული, ყოველმხრივ გამართულ-აღჭურვილი შენობა აღმართეს – წელიწადნახევრის წინათ დაიწყო. მანამდე 157-ე სკოლას იყვნენ შეხიზნულნი და მეორე ცვლაში უწევდათ მუშაობა, მაგრამ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ოდნავადაც არ შეფერხებულა, რისი დასტურიც ზემოხსენებული წარმატებებიცაა, რადგან ასეთ წარმატებებს უცებ ვერ მიაღწევ.

სკოლა 1000 ყმაწვილზეა გათვლილი. ამჟამად 791 მოსწავლე ჰყავთ. აქედან, სომხურ სექტორზე 104 მოსწავლეა.

ხომ ცხადია, რაოდენი ურთიერჰპატივისცემით, ადრე რომ ინტერნაციონალური ერქვა, ზრდიან მოსწავლეებს.

ქიმიის, ისტორიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, გეოგრაფიის კაბინეტები, კლასები – კომპიუტერულიც, სათანადოდაა გამართული.

უფროსი პედაგოგები: **ნანა შენგელიძე, ნანული გელაშვილი, დალი ფეიქრიშვილი, ნინო ორთავიძე, თამარ გამგებელი, ირმა ღონღაძე, ქეთევან დუღაშვილი, თამილა მჭედლიძე, ლიანა იასეშვილი, ხათუნა მირველაშვილი, ლალი თეთრაძე, თინა ქიზიყურაშვილი, ნონა ყაჭეიშვილი, მანანა მუჩიაშვილი და დალი ყიფიანი,** კოლეგებითურთ, განუხრელად შრომობენ, რათა ქვეყანას მცოდნე და მორალურ-ზნეობრივად საღი თაობები აღუზარდონ. **აღზრდა და არა მხოლოდ ცოდნა – 103-ე სკოლის ძალისხმევის ძირთაძირია.**

გამართულად, ურთიერთშეთანხმებულად და მიზნობრივად მუშაობს საგნობრივი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი – **ნანული გელაშვილი**); უცხო ენების (**მარინე გუგუშვილი**); სომხური ენის **(ლუიზა მურადიანი);** ისტორიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა **(მანანა ბახუტაშვილი);** მათემატიკის **(დიანა იასეშვილი);** საბუნებისმეტყველო **(მაკა კაპანაძე);** დაწყებითი კლასების **(თინა ქიზიყურაშვილი).**

უნარიანად უძღვებიან კოლეგებს დირექტორის პირველი მოადგილე **ნანა შენგელიძე** და **ასმიკ პაპიკიანი.**

დიდხანს ვისაუბრეთ დირექტორთან – ბატონ **არჩილ ჩხეიძესთან.** თავიდანვე გამიჩნდა განცდა, რაც შემდგომ ფაქტებით გამყარდა, რომ განათლების სისტემაში ძნელად მოიძებნება ასეთი გამოცდილებისა და შემართების პიროვნება, ვისაც ცხოვრების მიზნად სამშობლოსათვის სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, მცოდნე პატრიოტი თაობების აღზრდა დაუსახავს და გულანთებული ასრულებდა და ასრულებს კიდეც ამ მისიას ჯერ – მშობლიურ გურიაში, შემდგომ კი – თბილისში. უაღრესად საინტერესო და მდიდარი ბიოგრაფია აქვს. თავშივე ყურადსაღებია – 1978 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიკის ინსტიტუტი მათემატიკის სპეციალობითა და მუშაობა დაიწყო ოზურგეთის რაიონის სოფელ მთისძირის სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. პარალელურად, მათემატიკას ასწავლიდა ზედა ბახვის სკოლაში. სულ ორიოდ წელიწადში ნიშნავენ ამ სკოლის დირექტორის მოადგილედ და 1982 წელს უკვე ჯუმათის საშუალო სკოლის დირექტორია: იმ დროს ასე ახალგაზრდებს, ფაქტობრივად, არ ნიშნავდნენ ასეთ პასუხსაგებ თანამდებობებზე. მაშ, **ბატონ არჩილში** იმთავითვე იყო რაღაც ისეთი, რამაც ხელმძღვანელობას ასეთი გადაწყვეტილება მიაღებინა – **მასში მოწოდებით პედაგოგი, საქმის დიდებული ორგანიზატორი ჯერ ამოიცნეს, შემდეგ კი თვალნათლივ დაინახეს კიდეც.**

მას შემდეგ ბატონ არჩილს დირექტორობა „დაეკვება“. და ყველა სკოლა მისი ხელმძღვანელობით მოწინავე იყო! ამის ბევრი დასტურია, მაგრამ, ეგებ, ამაზე და ამ ძალზე საინტერესო პიროვნებაზე დაწვრილებით მომავალში მოგითხროთ, რადგან უბრალო ჩამონათვალიც კი ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას.

დაბოლოს, ძალზე მოკლედ იმაზე, რაც სხვა სკოლებში არა მსმენია: კლასების დამრიგებლების წარდგინებით, პედაგოგთა საბჭო ყოველწლიურად ავლენს წლის საუკეთესო მოსწავლეს. ამჯერად ეს პატივი XI კლასის მოსწავლეს **მარიამ ნაცვლიშვილს** ხვდა. ჯილდო საზეიმოდ გადასცა პარლამენტის დეპუტატმა **დავით ჭიჭინაძემ.**

პროფილაქტიკური საბჭო. სკოლაში სამეურვეო საბჭოცაა და დისციპლინარული კომიტეტიც, მაგრამ, დირექტორის ინიციატივით, პროფილაქტიკური საბჭოც ჩამოყალიბდა დევიზით: **„პრევენცია – ინტერვენციის ნაცვლად; მხარდაჭერა – დასჯის ნაცვლად“.**

სამწუხაროდ, საგაზეთო წერილი არ იძლევა ამ საბჭოს სტრუქტურისა და ფუნქციების დაწვრილებით გადმოცემის საშუალებას, მაგრამ უმთავრესი მის დევიზში ძევს.

სწორედ ასეთ მუშაობას მოჰყვება ხოლმე ის უამრავი ჯილდო, სიგელი, სერთიფიკატი, რაც ვნახე და ვამბობ: „თქვენ ეს დაიმსახურეთ!“

კონსტანტინე გურგენიძე

სკოლა-ლიცეუმი სანიმუშოა

აქ ცოდნის „სანთელი“ ჩირაღდანივით უნთიათ

ეკოლოგიურად ჯანსაღი ატმოსფერო, სუმყუდროვე, სისადავე და საქმიანი ფუსფუსი იგრძნობა სკოლა-ლიცეუმში, რომელსაც **„სანთელი“** ეწოდება და მართლაც, სანთელივით უნათებს გზას მოსწავლეებს ცოდნისააკენ. სკოლას ამშვენებს მოწესრიგებული და მოპირკეთებული ეზო, რომელიც შემოღობილია კაპიტალური, მაღალი ბეტონის ფილებით. აქვეა, ღია სპორტული მოედნები: კალათბურთის, ფეხბურთის, ტენისის სათამაშო მაგიდა, დიდი დარბაზი, სადაც განთავსებულია შვედური სავარჯიშო კედელი (რომელიც სქოლიოზის საწინააღმდეგოდ გამოიყენება), კრივის და ჭადრაკის აქსესუარები, მცოცავი ბაგირი და სხვ. აქ სტუმრობისას დავრწმუნდი, რომ სკოლის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეების ფიზიკურ მომზადებას და ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას. უსაფრთხო გარემოა და სკოლის ტერიტორია (შიდა და გარე პერიმეტრი) კონტროლდება ვიდეო-კამერებით... რაც შეეხება შენობას, იგი ორსართულიანია და კეთილმოწყობილი, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა ლიტერატურით, კომპიუტერითა და ინტერნეტით. სკოლაში დამონტაჟებულია პანდუსები, დერეფნები და სასწავლო ოთახები გაფორმებულია სხვადასხვა თვალსაჩინოებებით, ბავშვების ნახატებითა და კედლის გაზეთებით. აქ ყველანაირი პირობაა ინკლუზიური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ამჟამად, სკოლაში 2 სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე) ბავშვია, რომლებიც სპეციალური სასწავლო გეგმის მიხედვით გადიან სასწავლო პროცესს.

სკოლა-ლიცეუმი **„სანთელი“** თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ორხევის დასახლებაში მდებარეობს. იგი უკვე, 22 წელიწადია, ღირსეულად უძღვება მომავალი თაობის აღზრდას. სკოლა 1996 წელს დააარსა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა **ვასილ ჯანიაშვილმა**, რომელიც დღემდე ხელმძღვანელობს მას. ბატონი ვასილი 46 წელიწადია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. განათლების სფეროში ღვაწლმოსილია.

ბატონი ვასილი დიდი ენთუზიაზმით და რუდუნებით უძღვება საყვარელ საქმიანობას. იგი, ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რათა ლიცეუმი იყოს ერთ-ერთი წარმატებული სასწავლო დაწესებულება. მას თითოეულ ლიციანტთან განსაკუთრებულად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება აქვს, განსაკუთრებულ შეღავათს უწევს მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ და პედაგოგის შვილებს.

ვასილ ჯანიაშვილი: – 22 წლის მანძილზე ჩვენმა სკოლამ ცხოვრების საგზური მისცა ათეულობით ახალგაზრდას, რომლებიც წარმატებით არიან ჩაბმულნი სხვადასხვა სფეროში. მათგან ორი კურსდამთავრებული **თინათინ ასანიშვილი** და **ციცი რუაძე**, უკვე ჩვენი თანამშრომელია. სკოლის მისია და მიზანია: შედეგზე ორიენტირებული, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, პატრიოტული სულისკვეთების მქონე მოსწავლეთა აღზრდა. ამ საკითხის წარმატებით განხორციელებას განაპირობებს შემდეგი ობიექტური ფაქტორები: კლასებში მოსწავლეთა მცირე (8-10) რაოდენობა, კონკურსის წესით შერჩეული, მაღალკვალიფიციური პედაგოგები; დირექციის მხრიდან სასწავლო პროცესის სისტემატური და შინაარსიანი მონიტორინგი; საგნობრივი კათედრის ეფექტური მუშაობა; მოსწავლეებთან და მშობლებთან საქმიანი ურთიერთთანამშრომლობა და ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა... სკოლას ემსახურება კვალიფიციური ექთანი **ნინო სინჯიკაშვილი** და ფსიქოლოგი **დალი ჯანიაშვილი**... საბუნებისმეტყველო, ექსპერიმენტული საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) სწავლებაში, მაღალი აკადემიური მოსწრების მისაღწევად, ეფექტურად გამოიყენება სასწავლო ლაბორატორიები, რომელიც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პარალელურად, ექსპერიმენტული სამუშაოების ჩატარებას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციის მიხედვით, სკოლა ახლო კავშირშია საწარმოებთან. ყოველწლიურად ვაწყობთ გასვლით ღონისძიებებს და მაღალი კლასის მოსწავლეებს ვაცნობთ სხვადასხვა საწარმოების საქმიანობას. მაგალითად, პლასტმასის ნაკეთობების, პეპსიკოლას, კერამიკული ნაწარმის, სამშენებლო ბლოკის, ცემენტის, აზოტოვანი სასუქების საწარმოების და ა.შ. აგრეთვე, სკოლას სისტემატური ურთიერთობა და ურთიერთთანამშრომლობა აქვს დედაუნივერსიტეტთან, რომლის ცნობილი მეცნიერები წინასწარ შექმნილი გეგმის მიხედვით („უნივერსიტეტი სკოლას“) პოპულარულ ენაზე კითხულობენ ლექციებს მოსწავლეებთან. ჩვენი პედაგოგები (ხელოვნების, ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის, ქართული ენისა და ლიტერატურის), წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით, ხშირად აწყობენ გასვლით ღონისძიებებს და გაკვეთილებს ხელოვნების სხვადასხვა დაწესებულებებში, მუზეუმებში, ბოტანიკურ ბაღში, ზოოპარკში, დედაენის ძეგლთან და ა. შ. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით და მოსწავლეთა დისციპლინის კუთხით, შესანიშნავად მუშაობს სკოლის თვითმმართველობა. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ოპტიმიზაციას ხელს უწყობს მშობელთა კომიტეტის შინაარსიანი და ნაყოფიერი საქმიანობა. ჩვენს სკოლაში ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე ფასი. გადასახადი სულ 800-დან 1000 ლარამდეა. უნდა გითხრათ, რომ მიზანმიმართულობა და ენთუზიაზმი ახასიათებს აქ მომუშავე თითოეულ თანამშრომელს. ყველა პედაგოგი მაღალი დონის სპეციალისტია და უმრავლესობა სერთიფიცირებულია. მოსწავლეები აქ სრულყოფილ ცოდნას იღებენ და მათ უკვე რეპეტიტორი აღარ სჭირდებათ.

ამჟამად, პროფესიული განვითარების სქემაშია ჩართული ჩვენი 9 პედაგოგი. 5 საგნობრივი კათედრაა. სახელმწიფო ენისა და უცხო ენების – თავმჯდომარე **ანა წურწუმია**, საზოგადოებრივი მეცნიერების - **თინათინ დუშაშვილი,** საბუნებისმეტყველო მეცნიერების**,** მათემატიკის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების – **მეგი ტაბატაძე,** სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის - **მანანა ჩიკვაიძე,** დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჯგუფის - **ხათუნა მძელური.**

სკოლა-ლიცეუმში აქტიურად ტარდება სპორტული შეჯიბრებები: ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში და ა.შ მოსწავლეები მონაწილეობენ **„კინგსის“, „რობინსონის“** და **„სმარტ კომპეტინშენის“** ოლიმპიადებში, საიდანაც დაჯილდოებულები ბრუნდებიან. ასეთები არიან: მე-5 კლასი – **სანდრო ბუაძე, ანასტასია ნაგაევცევა, თამარ კუბლაშვილი, და ნინო ხაჭაპურიძე;** მე-6 კლასი – **თამარ სინჯიკაშვილი, ლიზი მესხი**, მე-7 კლასი- **ანი ცხვიტარია, მარიამ ხარატიშვილი და ნინი ცხვიტარია;** მე-8 კლასი **-ანი კერატიშვილი, მარინე ხაჭიპერაძე, ვასილ ჯანიაშვილი** და **ლიზი ნაგაიცევი;** მე-9 კლასი **-ელენე ქორიძე** და **თამარა კოლომეეცი;** მე-10 კლასი **- გიორგი გოგიშვილი** და **ბექა ყველაშვილი.** მოსწავლეებმა **თამარ სინჯიკაშვილმა, ანასტასია ნაგაევცევამ, ლიზი მესხმა, თეკლა გოგიშვილმა და ნათია ქათამაძემ** ასევე, თავი გამოიჩინეს **„რობინსონის“** ოლიმპიადაში მონაწილეობისას. ხოლო, ქართული ენისა და ლიტერატურის კონკურსში **„ალმასი“**, პირველი ადგილი მოიპოვა **ელენე ქორიძემ,** რომელსაც პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცა, ხოლო სერთიფიკატი **ანი კერატიშვილს**.

სკოლის ხელმძღვანელობას ერთი მოკრძალებული თხოვნა აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, კერძო სკოლების (თუნდაც, მცირე კონტინგენტისთვის) მოსწავლეთა **ვაუჩერული დაფინანსება გაუტოლდეს საჯარო სკოლის მოსწავლეთა დაფინანსებას**, ასევე, შემცირდეს ავტორიზაციის გავლის ხარჯები (ამჟამად, ეს თანხა 5 500 ლარია).

სკოლის დირექცია იმედოვნებს, რომ სამინისტრო გადახედავს აღნიშნულ საკითხს და ჩვენს თხოვნას დადებითად გადაწყვეტს.

მზია გოგოძე

„ყველა ჩემი სამშობლოა – საყვარელი საქართველო!“

ია ეკელი
პოეტი, ისტორიკოსი.

საქართველოს მწერალთა კავშირისა და აფხაზეთის მწერალთა გაერთიანების წევრი.
არჩეულია:
სახალხო დიპლომატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის წევრად, **ექვთიმე თაყაიშვილის** სახელობის კულტურულ-საქველმოქმედო ცენტრის წევრად. დაინიშნა ამავე ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელად; არჩეულია ფაზისის მეცნიერებისა და კულტურის აკადემიის ნამდვილ წევრად.
არის 147-ე სკოლის ისტორიის უფროსი მასწავლებელი. მისი ლექსები შესულია „თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“.
არის კონკურსის **„მე და აფხაზი“** გამარჯვებული.
შარშან, ზაფხულში მისი საღამო გაიმართა ბათუმში.
ავტორია 3 წიგნისა, რომლის წარდგინება დაგეგმილია 27 აპრილს მწერლის სახლში (მაჩაბლის 13-ში).
ამზადებს პროზაულ ნაწარმოებთა წიგნს.
აპირებს დისერტაციის დაცვას. ძალიან უყვარს მშობლიური სენაკი და დედის სოფელი **ეკი,** რომელიც ფსევდონიმად აირჩია. სინამდვილეში გახლავთ **მაია ქანთარია.**
ცხრაშვილიანი ოჯახის მერვე წევრია.
ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

შიდა ქართლი

ახალგორიდან დუშეთისკენ ფიქრით წავედი...
მერე, ლარგვისი და ლიახვი მოვინახულე.
ქარელის გზაზე ტირიფონის ვაკეს შევხვდი და
სამწევრისამდე გავცქეროდი, ლამაზ ასულებს.
გორთან მტკვარს შევხვდი, ნადარბაზევს გავცდი
ადრიან...
ლეხურადან კი ქსნის ხეობა წარმოჩენილა...
ანანურიდან, ჩინთის სოფლის ნავენახარი,
კიდევ არაგვი, ქართლის ქედის გამოჩენილა.
იალნოს ველზე როკის გვირაბს ისევ გავცქერი,
რაჭის ქედამდე ვარიანი შემომეფეთა...
ყორნისს, სურამთან ღრმად ჰაერი ჩავისუნთქე და
ქვიშხეთის ჰავა, ადრიანად ისე მეკვეთა.
ველად გაშლილა ლიახვი და ჯავას გაივლის,
ცხინვალს, იკორთას რა ხანია სიზმრად დავეძებ...
ღმერთო მომეცი გამძლეობა ვნახო ერწოს ტბა
და ამ მაღლობზე შემეშველე, რომ არ დავეცე!

ქვემო ქართლი

თავკვეთილის მთაზე ვნახე,
თრიალეთის დიდი ქედი,
სამსარიდან დმანისამდე,
ტანძიამდე ლექსებს ვწერდი...
დებედამდე მტკვარი შემხვდა,
ყარაის ველს გადავხედე,
შულავერის კალთიდან კი
სადახლოს გზას შევეფეთე.
კუმისის ტბის წყალი შევსვი,
ბეთანია მოვილოცე,
კლდეკარამდე ლოქის მთიდან,
მგლის ჭიშკარი გამაოცებს.
ემლიკლის მთის წვერზე შევდექ,
ქცია ხრამის წყალთან შემხვდა,
სამშვილდიდან წინწყარომდე,
ასურეთის ვაკეს ვხედავ.
ვერე მოდის თბილისს ისევ,
წერაქვამდე კაზრეთს შევხვდი,
ბედიანო, წალკის ველზე,
ახლა ფიქრებს გამოვფენდი.
რუთავიდან არჯევანის
მთის მწვერვალებს გავყურებდი,
ჯანდარის ტბის წყლის წვეთებით,
გარდაბნის ველს ვასველებდი.
ნაღვარევის დაბლობს ვზვერავ,
მარნეული თვალწინაა,
თეთრო წყაროვ კლდეისამდე,
მაშავერას მთაწმინდაა.
სამშვილდიდან წინწყარიმდე...

ხევი

კიბიშის მწვერვალს ვხედავ სიზმარში,
შინოს მთასთან კი ვხვდები ამორძალს,
სნოს წყალი შევსვი, ართხმოსწყალთან კი,
გუდამაყარი მომიახლოვდა.
დარიალისკენ თერგით ვიარე,
გერგეტს ვიყავი ჩემი ფიქრებით...
გორისციხესთან გარბანს და არშას,
ჯუთას მწვერვალზე ასვლას ვიწყებდი.
მთა ზილგახოხი გადავიარე,
თრუსოს ხეობას ვხვდები სუათის,
რესში ასული, მთა ჯიმარამდე,
მოვარაყებულს ვწმენდდი უნაგირს.
დევდორაკიდან ცვივა მყინვარი,
ტყარშეთის მთაზე ჩამოვისვენე...
საძელისღელეს უღელტეხილზე,
ხორისარის მთა ამოვიყენე.
გერგეტს ვიყავი...

სვანეთი

გვინდრას მწვერვალი ვნახე კოდორთან,
სგურიშს, ლახანას, ხაიშს ვიყავი...
ლახამულადან ლაშილის მთამდე,
იენაშისკენ სავალს ვისწავლი.
ლეხზირის მყინვარს, დოლრის მყინვართან,
მესტიიდან კი მწვერვალს თეთნულდის,
წანერის მყინვარს წლები ათოვდა,
აილამადან ზესხილს მივედი.
ჟახუნდერიდან ჩიხარეშამდე, რცხმელურს,
ხუფურთან, ხელდის მწვერვალზე,
ადიშის ლოცვებს თავი მივანდე...
დავეძებ ლენტეხს შხარას მთებიდან,
მულხრის, დულრას და ნაკრას დავეძებ...
ხელედულადან კახლეთისწყალზე,
დარჩის მდინარის ხიდებს ვაშენებ.
ენგურს დავეძებ, ოქროს კოლხელი
და ნისლებს ვფანტავ, თეთნულდს ფიქრებით...
უშბავ! გამართე ერთი ქორწილი,
შენი მეჯვარე, ეს მე ვიქნები!

სამცხე

ხერთვისის ციხევ, თმოგვო, ვარძიავ,
ჩემო ასპინძავ, წნისო და ზარზმავ...
აბასთუმანო, დვირო, აწყურო,
ვანის ქვაბებო, წარსულის განცდავ.
ბაკურიანო, ჭობისხევისკენ...
ხიზაბავრავ და ქისათიბებო,
ანდეზიტის მთავ, ოთავ, ოშორავ,
მეფისწყაროს მთის შესაწირებო.
მთაო ზეკარის, აბასთუმანო,
ქვაბლიანისკენ მავალო გზაო...
ახალციხეში ეგებ წარსული,
ჩემი საფარის განცდები ვნახო.
დიდი ქარტიდან გუჯარეთამდე,
მთა კიუმბეტი გასავლელია...
ვუმზერ ტერასებს გაშლილ ველზე და
სამცხე, სამშობლოს საწნახელია!

აფხაზეთი

ფსოუს წყალო, ტბაო რიწის,
ბზიფო, გაგრავ, გუდაუთავ...
ათონიდან გულრიფშამდე,
სოხუმს ვეძებ რა ხანია...
ოტაფი და მოქვი ვნახე,
გიენოსი გალთან ახლოს,
ენგურს ბედიამდე მივყევ,
რომ ბაგრატი ერთხელ ნახო!
დომბაის მთის მწვერვალს ვზვერავ,
ქლუხორამდე გვინდრას მთაა,
საკენიდან კოდორისკენ,
ამტყელის ტბის ლურჯი ცაა,
კელასური გუმისთიდან,
მოდის პონტოს ზღვაში მდორედ...
„ლიხნის“ განჩინების მერე
ჩემს მიწას ვერ ვეპატრონე!
პიტიუნტთან გავცქერ სივრცეს,
ფიქრით წარსულს ვაღმერთებდი,
მე რომ ოქროს თევზი ვიყო,
ამ სამოთხეს ავირჩევდი!

კახეთი

შირაქის ვაკევ, იორო,
ივრის ზეგანზე მდინარევ,
ელდარის საძოვრებიდან,
დედოფლისწყაროვ მცინარევ.
ნინიკას ციხეს მწვერვალო,
ალვანს იცეკვეს მხედრული,
ბაბანეურის ნაკრძალთან,
სტორის მდინარე შემომხვდა...
ლოპოტას მოფერებას კი
კვლავ ალაზანი ჩემობდა.
ვაზისუბანო, ახტალავ,
ვეჯინო, წნორო, ყვარელო,
ახალსოფელო. ლამბალოვ.
იორმუღანლოს მნახველო...
უღელტეხილო გომბორის,
მარიამჯვარის ნაკრძალო,
იყალთოს აკადემიავ,
ახლა სალი კლდით ნაშალო.
შენ ალავერდო, თელავო,
საგარეჯოვ და მატანო,
თიანეთიდან ტუშურებს,
ქვების ხელებით ამტანო!
ციხევ ბოჭორმის კარდენახს
ჩამონაჟურო ვენახო...
ველისციხეში გიორგის,
თავისი სატრფო ენახოს...
ახაშენიდან მუკუზანს,
თვით გურჯაანსი ველოდი,
სამყურისწყაროს ილტოდან,
ნაკრძალს ბაწარას ვმღეროდი.
ლაგოდეხიდან ვაშლოვნის
ნაკრძალს წნორიდან გავცქერი...
სიღნაღო შენ მეგულები!
შენა ხარ გული კახეთის!

ჯავახეთი

აბულის მყინვარს ვხედავ სიზმარში,
კუმურდოს ტაძარს მივუახლოვდი...
ფეხით ჩავედი დღეს მირაშხანში,
სულდადან დადეშს გადავინაცვლე.
ხანჩალის ტბაში კალმახს წავაწყდი,
ეფრემოვკიდან განძაანისკენ...
ცხრაწყაროს ვუმზერ ტაბაწყურიდან,
ქვაჯვარის მთა კი მაცნობს თრიალეთს,
აზავრეთიდან ტურცხსა და ხანდოს,
ნინოწნინდისკენ გადავინაცვლე.
ჭიქიანის მთის მწვერვალს გავცქერი,
კარწახის ტბაში ცურავს სკუმბრია...
ასე მგონია ფოკას, განძაანს,
ხანდოს მწვერვალთან მისაუბრია.
შავნაბადას მთას ათოვს ფიქრები,
ყარაყაის მთას იცავს მესაზღვრე.
მიდის მტკვარი და ტაბაწყურისკენ,
ბეუანის მწვერვალს შემოვერკალე...
მაჭატიადან დილისკარამდე,
ტურცხიდან მოლითს ვესაუბრები...
შირაქის ველზე ვითვლი არნივებს,
მხვდება, ახტალას დიდი მუხები.
ჯიგრაშენს ვეძებ ველის ყვავილებს,
ეფემერები ისევ ყვავიან...
ოკამს, აფნიას, ქციის მდინარეს,
ვეძებ სიზმრებში, დიდი ხანია.
ტბასთან აბულის ჩამოვქვეითდი,
ცხენს უსაბელოდ მივაგელვებდი...
მე რომ მეცხსოვრა სამცხის სამთავროს,
ამორძალობას შევიფერებდი.
ყარაყაის მთას, იცავს მესაზღვრე.

აჭარა

არსიანის ქედის გავლით,
ციხეს ხირხათს მივეახლე,
ჭანჭახის მთას, მწვანე ტბასთან,
ბევრი გვირილები ვნახე.
ქვაბლიანის მდინარიდან,
ნაღვარევის წყალი შევსვი,
ჭვანის წყალი, ხულოს თაგოს...
ამარაგებს მისი პეშვით.
ყინჩაურთან სხალთას ვიყავ,
ჩირუხისწყალს მივეახლე,
რკინისკართან, შავშეთის ქედს,
მახუნცეთი, ქედა ვნახე.
მტირალას მთას წვიმა მოდის,
მახინჯაურს ჩაქვში ველი,
ქობულეთის ნაკრძალისკენ,
ჩოლოქი მაქვს გასავლელი.
ტბიყელის ტბას მივეახლე,
შუახევი მოვილოცე,
ფურტიოდანა დიდაჭარას,
თაგოს მთები გამაოცებს...
კახაბერის ვაკეს ვზვერავ,
ბათუმს ველი ძველი განცდით,
კვარიათთან, გონიოსთან,
სარფის საზღვარს უკვე გავცდი.
ხელვაჩაურს, ჭოროხს ვუმზერ,
მაჭახელა მოვიარე...
გოდერძის მთის მწვერვალებზე,
არწივებმა გამახარეს.
მესიზმრება ჩემი მიწა,
ფიქრით იქ ვარ რა ხანია...
ხახულს, პარხალს, ოშკს და პარხალს,
ჩემი ლექსით მივეახლე.
სიმწრისაგან სვებედგამწყრალს,
მთელი გული მიკახცახებს.
მტირალას მას, წვიმა მოდის.

იმერეთი

კაცხის სვეტები ვიხილე,
ითხვისს მივაგენ სამარხებს,
ყუმისთავიდან წყალტუბოს,
დინოზავრები მანახეს,
ნაქერალადან მუხურას,
შროსას, უბისას ვიარე...
ხარაგაული, საირმე, ზეკარი,
ვანი, ხონი და ტყიბული,
ჭიათურასთან ქვანახშირს,
ხედები ჰქონდა ტიხრული.
ხარაგაულთან წიფაა,
გელათს დავითის ფრესკაა...
მოწამეთას კი არგვეთლებს,
გმირობა დაუთესიათ.
მარელისიდან ქუთაისს,
წაბლარის წყალით ვიარე,
აჯამეთიდან ვარციხეს,
ცხრაჯვარი შემოვიარე...
გუბისწყალი და დუმალა,
ჯრუჭულა მთების ჩიხურა,
წყალწითელა და რიონი,
პონტოს ზვისაკენ მიცურავს,
შორაპანს ვდგავარ წლებია,
მათოვს რიკოთის გვირაბთან,
იქნება მე ვარ ის მგზავრი,
სიზმრად მწარედ გმინავდა.
კაცხის სვეტები ვიხილე...

რაჭა

ცხრაჯვარიდან გავუყევი ნაქერალას,
შაორამდე ხარისთვალა შემეგება...
ლიხეთს, ურავს, წესს, ფარახეთს ვიყავი და
ხვანჭკარასაც მაჭარივით, ისევ ვხედავ.
ჭრებალოდან ამბროლაურს, ზნაკვა
საზღვრავს,
ბოყვას, ცხორს და შქმერის მთაა, ისე ახლო,
კვაისიდან წედისია ქვედის ტბასთან,
ჯეჯორასთან ნეტა წარსულს მივეახლო.
საკაურა ესაზღვრება შოდას მწვერვალს,
ლუხუნწყალი ლეჩხუმის ქედს უერთდება,
გლოლას, ჭანჭახს, შოვის კურორტს ვხატავ
ფუნჯით.
მამისონზე გაიშალა თეთრი ფარდა.
ჩვეშურას და საკაურას აკრავს მთები,
ჭიორასთან ვეგებები, ლამაზ რიონს,
მთებზე დიდი ადგილია რაჭის ღები,
ღირდა მართლა გარდასახვა, ამ ერთ წამად.

გაგრძელება მე-10 გვერდზე →

პედაგოგის პოეტური პალიტრა

„ყველა ჩემი სამშობლოა – საყვარელი საქართველო!“

ხევსურეთი

მუცოდან არხოტს ვიარე,
ლებაისკარი ახლოა,
აწუნთის ქედზე ანდაქი,
მერე კი გზად ხახაბოა...
დათვისს, არჭილოს მთისაკენ,
ტებულოს მთიდან ვიარე,
როშკიდან ბარისახომდე,
კარწაულთამდე ვიარე.
ხახმატს და გუდანს ვესტუმრე,
არხოტს ახიელს ვეახლე,
კავკასიონის მწვერვალზე,
ჭიუხს ხელები შევახე.
მახის მაღალი მთებიდან,
ხევსურეთის ქედს გავცქერი...
შატილო მთების არწივო,
ზემოთ ყაბარდოს ველია...
ვინც შენი ზნისა არ იცის,
აბა, ის რა ქართველია!

თუშეთი

შენაქო, დიკლო, ომალო, ხახაბო,
ხისო და დანო, დართლო,
შტროლთა და აწუნთავ,
შავო კლდევ ბევრის ამტანო.
ორეთის ტბაო შენ ჩემო,
ულამაზესო თუშეთო,
ალაზნის ლამაზ დინებას,
გუნება გამოვუკეთო...
ანდის ყოისევ, ბორბალოვ,
გველისმთის დიდო მწვერვალო,
ზეთავის მთისკენ სავალი,
სიზმარში მაინც მესწავლოს.
ტებულოს მთიდან,
დონის მთას გავცქერ,
შორია მანძილი,
არც გზა არაა სწორი და
არც ქართველობა, ადვილი!

მთიულეთი

მლეთიდან ქუმლის ციხეს გავცქერი,
მზისყანის თავზე შემომაღამდა...
დიხჩოს, მაქართას, თორელაანთან,
შავი არაგვი ღამეს მპარავდა.
ბაკურხევიდან ბურსაჭირისკენ
მდინარე ბოსელს გავესაუბრე.
თეთრი არაგვის გზაგასაყართან,
ხარხეთს ვეებდი დღესასწაულებს.
შერხოტის მთამდე უნდა ვიარო,
ფასანაური ბარად დავტოვე,
გუდაურისკენ ჩემი ფიქრები,
ლომისის მთასთან განმიმარტოვებს.
მზისყანის მთაზე...

ფშავი

ფშავის არაგვი ვიხილე,
მათურხევს უერთდებოდა,
თხილიანა და შუაფხო,
წყაროს მთას ეგებებოდა...
ანდაქის უღელტეხილზე,
ბორბალოს მთები მღერიან,
მიგრიაულთა სოფელში,
კვლავ ბევრი მომლოცველია.
უკანტბას ღალისმთისაკენ,
თვალივი შარახევია,
ჟინვალს ლამაზი კალმახი,
კიდევ მრავალი თევზია.
მთა სასუთავი ახლოა,
ჩარგალი ვაჟას მოელის
ვერ ნახავ მტერო ამ ბალახს,
ცელით უწყალოდ მოცელილს.
ანდაქის უღელტეხილზე...

გურია

ჯუმათის მთიდან სუფსას გავცქერი,
ზემო ერკეტთან ბუკის ციხეა...
ნაბეღლავიდან ჩხაკოურამდე,
გუბაზეული სუფთა წყაროა.
ციხისფერდიდან ლაითურამდე,
შემოქმედიდან აჭს და ლიხაურს,
გომისციხიდან მეფისწყარომდე,
ვუზიარებდი მთის პირს სიხარულს,
ჭყონაგორადან ჯაპანისაკენ,
ნარიონალი ტბაა ლამაზი,
ლანჩხუთიდან კი ურეკისაკენ,
ჩოხატაური დამრჩა სანახი!
ბუუჟას მდინარე, ბახვისწყალისკენ,
ნატანებამდე მიედინება...
ოზურგეთიდან მთელს გურიაში,
არც არასოდეს ჩამეძინება.

ლეჩხუმი

ლაილაშს ვიყავ, ცაგერის გავლით,
ლაჯანას, ორბელს, ჩხუტელს ვეახლე...
მურის კლდეკართან ქედზე ეგრისის,
ჩემი ოცნება წარმოვისახე.
ასხის მასივი, ზუბთან შემომხვდა,
ოყურეშს, ღვირიშს, ჭყვიშში ვიყავი...
ხვამლის მთებთან ხომ, განძთსაცავია,
მეც ხომ ვიყავი ტვირთის მზიდავი.
ალპანა რიონს შემოერკალა,
ზედა საირმე უცქერს წყალსაცავს...
წიფჩერიდან კი სარეწკალამდე,
ერთი იმედი მაინც გადარჩა....

სამეგრელო

ტობავარჩხილის ტბამდე ვიარე,
ქედი ეგრისის ახლოს მოჩანდა,
ზანზალაკიდან ალშირის მთამდე,
ყვირას მწვერვალთან შემომაღამდა.
ჯახურწამუდან ლებარდეს მთამდე,
სქურის მაღლობი მომიახლოვდა.
ლესიჭინედან მარტვილამდე კი
ჩემი ტეხურა, მინავარდობდა.
მარნის კარიდან ქოლობანამდე,
ტობის მყინვართან ვხედავ აბაშას,
ინგირის წყალთან ცაიშს მივაგენ,
მაცნეს ვაგზავნი, თარაშ ემხვართან!
ჭანისწყალიდან ჩხოუშიამდე,
მაგანიდან კი სულსწრაფ ენგურთან...
გადირაკილის მთები შემომხვდა,
ასხის მასივის ზედაპირამდე.
ხობიდან ყულევს ფიქრით ავყევი,
კოლხეთის პარკთან ჩამოვისვენე...
ანაკლიიდან დავეძებ ფაზისს,
ნოქალაქევთან ციხეს ვიშენებ!
შემხვდა ცხრა წყარო წალენჯიხასთან,
ვლაქერნობაა ახლა ზუგდიდში...
რიონს ავყევი ნელი დინებით,
გამომეღვიძა ისევ ჯუმითში!
მე დავიბადე ერთ დროს სენაკში,
მტრედისფერ ზეცას ვქარგავ წლებია...
ახლა მე ვიცი, ჩემი ლექსები,
ჩემი ფიქრები, გადარჩებიან!

წარსული მომავლისთვის გვჭირდება

მშვენიერების ცრემლიანი დღესასწაული

„შედიხარ შესანიშნავ შენობაში და გულს გინათებთ სტალინური მზით გამთბარი ცქრიალა ბავშვები, რომელთა სახეებზეც ამოიკითხავთ სიხარულსა და ბედნიერებას. უსაზღვროა მათი სიყვარული ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნისადმი. მათ დაბეჯითებით იციან, რომ პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა არასოდეს მოაკლდებათ, რისთვისაც მთელი ძალღონით იბრძვიან უკეთესი წარმატებისათვის, მეტი ფრიადებისათვის.

და რა კარგი იქნებოდა, რომ ამ სკოლას თავიდან ღირსეული ხელმძღვანელი ჰყოლოდა?

არ იფიქროს მკითხველმა, რომ ვლაპარაკობდე შორეული რაიონის რომელიმე სკოლაზე, რომელიც განსახკომის ინსპექტორმა შეიძლება მთელი წელი ვერ ინახულოს. არა, აქ ლაპარაკია ისეთ თვალსაჩინო სკოლაზე, რომელიც განსახკომიდან მხოლოდ ერთი კილომეტრით თუ არის დაშორებული. ეს გახლავთ დიდი ქართველი მწერლის, ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლა, რომელშიც 688 ბავშვი სწავლობს.“ - ვკითხულობთ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1937 წლის 6 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილს, რომლის სათაურია **„ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლაში“.** შემდეგ ვწყვეტ კითხვას, გულამღვრეული ვდგები და მაგიდაზე ვტოვებ გადაშლილ გაზეთს, იგი გაყვითლებული არ



არის, თუმცა მისგან ენით აუწერელი შმორის სუნი მოდის, ეს სხვა სიმყრალეა, ბალღამის სიმყრალე.

მაინც საინტერესოა, რამ განარისხა ასე წერილ-პასკვილის ავტორი (მის ვინაობას განგებ არ ვასახელებ, არ მინდა მისი შთამომავლები დაწვას სირცხვილმა უღირსი წინაპრის უღირსი საქციელის გამო)? იქნებ იმან, რომ „ზოგიერთ მასწავლებელს სამუშაო გეგმები კიდევ არა აქვს წარმოდგენილი“? ან იქნებ იმან, რომ „ჟურნალები წესრიგში არაა მოყვანილი და შიგ არ ხდება მოწაფეთა დაკლება-დაგვიანების შეჯამება?“ თუ იმან, რომ „სკოლაში თავი მოუყრია ე. წ. „სტაჟიან“ მასწავლებლებს, რომელთა უმრავლესობა პენსიასაც იღებს და ამავე დროს რამოდენიმე სკოლაში მუშაობს?“ ავტორის რისხვის მიზეზი არც ის უნდა იყოს, რომ „მასწავლებელი ხარაძე სასწავლო ნაწილის გამგის თანაშემწედ მუშაობს და თან შეთავსებით კლასის ხელმძღვანელია. ახმეტელი, გომელაური და გეგეჭკორი ორ-ორი კლასის ხელმძღვანელები იყვნენ მაშინ, როდესაც კლასის ხელმძღვანელობის გარეშე რამოდენიმე მასწავლებელი იყო დარჩენილი?“

არა, ავტორის, განსახკომის (და არა მხოლოდ მათი) გულისწყრომას სხვა მიზეზი აქვს: „ასეთ დიდ სასწავლებელში, სადაც 688 მოწაფეა, კომკავშირელია მხოლოდ 10, 30 მასწავლებლიდან კი ორი საქართველოს კპ (ბ) წევრობის კანდიდატია და ერთი კომკავშირელი. დოყლაპიობა და უქნარობა ამაზე შორს ვერ წავა, სკოლაში არ არსებობს სტალინის ოთახი, არც პიონერებს აქვთ ცალკე ოთახი“. სკოლას, ავტორის თქმით, „უქნარა და მოლაყბე **ნ. ძიძიგური** ხელმძღვანელობდა, რომელმაც დიდად შეაფერხა ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის საქმე. მან არც კი იცოდა თუ სად იყო კომკავშირის კომიტეტის ოთახი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ **ნინო ძიძიგური** დასწრებოდა კომკავშირის კომიტეტის სხდომას“.

ეცნობი ქალბატონ ნინოსადმი წარდგენილ ბრალდებას და შიში გიპყრობს, რადგან ხედავ და გრძნობ „კომუნისტურად აღზრდის შემფერხებლისაკენ მიშვერილი ლულის სიცივეს. ამგვარი ბრალდება წითელი ტერორის ხანაში სასიკვდილო განაჩენს უტოლდებოდა.

ღვთის მადლით, ქალბატონ ნინოს არ ეწია მრავალი მარტვილის ბედი, თუმცა სკოლასთან გამომშვიდობება მაინც მოუხდა, სკოლასთან, რომელსაც მისი მოღვაწეობისას დიდი ილიას სახელი მიენიჭა.

სკოლის მუზეუმში ექსპოზიციის ნაწილი დირექტორთა ფოტოებს აქვს დათმობილი. ქალბატონი ნინოს ზრუნვით დაღლილი სახე მისადმი მოწიწების გრძნობით განგაწყობს. უცნაურია, მაგრამ გული მწყდება რომ იმ შავბნელ ეპოქაში არ ვცხოვრობდი და გვერდით ვერ ვედექი უშიშარ ადამიანს. წერილის ავტორის „საგმირო“ საქმეები ყველამ დაივიწყა, ქალბატონ ნინოს ხსოვნას კი მადლიერი შთამომავლობა დღესაც ინახავს.

1974 წელს გოგებაშვილის სახელობის პედსაზოგადოებამ და განათლების რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ განათლების მუშაკთა სახლში პედაგოგიური საქმიანობის საიუბილეო საღამო მოუწყო ამაგდარ მასწავლებელს. საღამოზე სიტყვა წარმოთქვა 23-ე სკოლისა და ქალბატონ ნინოს აღზრდილმა **ვლადიმერ თორდუამ**: „ნინო ერთის მშობელია, მაგრამ ათასებისთვის არის მეორე მშობელი მასწავლებელი, ისევე როგორც მშობელი არასოდეს ამოდის ადამიანთა მეხსიერებიდან. საყვარელი ნინო მასწავლებელი მუდამ თანსდევს ათასებს მთელი სიცოცხლის მანძილზე, რადგან მშობლებისაგან მინიჭებული სიცოცხლითა და ნინო მასწავლებლის მიერ ჩანერგილი ცოდნით მიიკვლევენ ისინი გზას.

დიახ, ასეა! – სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს. მშვენიერების თუნდაც ცრემლიანი დღესასწაული კი ჯოჯოხეთსაც სძლევს და გაუთბობს სულს ადამის ძეებს. ჭეშმარიტი პედაგოგი ყველა ეპოქაში გმირია.

კახა თოდაძე,
23-ე სკოლის ქართული
ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N4 (4563)
14 მარტი / 2018 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 597 765 810;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113